

140
1946

ဒုဂေသနပ္ပန္န



စာမျက်နှာ 19 46

၂၁

ქ. რ . თ . ბ . ე . რ . ი .

სარ. ალკა. ცენტრალური კომიტეტის
ზოგველთვის საგავლეო უფროსი

№ 1

1946 წ. იანვარი

წელიწადი მეთვრამეტე
გამოცემალობა „კომუნისტი“

ПИОНЕРИ

№ 1

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО
КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство „Комунисти“

კარო კალაპე

ახალი დათ

ნაძვის ხელი

ღრუბელთ შეენის ვარსკვლავების კამეა,
თამარივით შავთვალწარბა ღამეა, —
და ცისკიდით ძირს დახრილი ღრუბლები
წამწამივით ჩუმად მოხამხამეა!

ნაძვის ხეზე კვლავ ციმციმებს სანთელი,
საგანგებოდ ცვივა თოვლის ფანტელი,
ბამბის პაპას ურიამულით გარს უვლის
მოთამაშე ბავშვთა კორიანტელი...

შუალამის ბრწყინვა აეშხინებს
შუქრთ წაშლილ ჩრდილებს კეშნიანებს
და ღიმილით ანთებული თამარიც
შინ ალისფერ კაბით გაიშრიალებს!

მაგრამ, ჩემთვის მაინც უცხო რამ არის
უეცარი შემოფრენა თამარის!..
და აქ მისი წამიერი შეკრთომა
სიხარულის ფრინველივით ფრთამალის!

ვინ აუნთო ბუნდოვნება ღამისა? —
რომ აისხა ფრთები სითამამისა,
საახალწლო იმედები ახარებს,
თუ ომიდან დაბრუნება მამისა?

თუმც ნაძვის ხის ბრწყინვა მოსწონს
ძალიან
შორს დგას მაინც, თითქოს არა სცალიან, —
ვით სანთლებთან მოთამაშე წუთები —
ცამეტი წლის მოსკლაც უეცარია!

ხიდან უმზერს დედოფალა ცქრიალა,
მაგრამ თამარს არა გაუგია-რა, —
დგას აქ მამის მხარის დასამშვენებლად
სუფრას აწყობს დედოფალას კი არა!..

ხოტბად ესმის საახალწლო გალობა,
თავს გვევლება, დაიმშვენა ქალობა.

—

საბჭოთა კავშირის პიონერებსა და მოსწავლეებს

მხურგალედ უფლოცავ პიონერებსა და მოსწავლეებს
ახალ, 1946 წელს!

ძეირგასო ბავშვები! თქვენი ბედნიერი ბავშვობა და
ნათელი მომავალი მობრვებულია მძიმე და მეტაცია
ბრძოლით. თქვენთვის შეუპოვრად ებრძოლნენ მტერს
წითელი აღმის მეომარები, თქვენთვის ბევრმა გასწირა
ყველაზე უძირთასესი რამ — სიცოცხლე. მუდამ გან-
სოვდეთ ისანი, ჩემთ ნორჩით მეგობრებო! მუდამ გან-
სოვდეთ მათი შმინდა სახელები, ეცადეთ ყოველმხრივ
დაემსგავსოთ სამამულო ობის გმირთ. ძალა უდევთ მათ-
გან გამბედაობა და სიმამაცე, თავდადება და სიმტკიცე
მიზნის მიღწევაში, განიტრიცეთ აღარიანის საჟურნალო
თვეშებანი — ძლიერი ნებისყოფა, გამბედაობა და შე-
უპოვრობა ყველა სიძლიერეთა გადალახვაში.

ბავშვები! სიხარულს, ბედნიერებისა და შესაიშნავ
მიმავალს ყველანი ჩეკენ უნდა უშეადლოდეთ ბილშევი
კების დიად პარტიას და ამხანაგ სტალინს, ჩვენს საყ-
ვარელ მამასა და მეგობარს, ჩვენს ძეირფას იოსებ
ბესარიონის-ძეს! სწორედ პარტიამ და სტალინმა განა-
დეს ჩვენი სამშობლო ძლიერ და მდიდარ სახელმწი-
ფოდ. სწორედ პარტიამ და სტალინმა გაანადგურა ჩვე-
ნი სახელმწიფოს ყველა მტერი და საბჭოთა ხაოხი
იქსნეს გერმანელ დამპყრობთა დამონებისაგან. სწო-
რედ პარტიამ და სტალინმა გაგვიხსნეს ყო-
ველ ჩვენგანს და განსაკუთრებით თქვენ, ბავშვებო, ცოცორების, სწავლის, ბედნიერების ფართო გზა.
მაში იყავით ლირსნი ბოლშევიკური პარტიის მზრუნველობისა და დიდი სტალინის სიყვა-
რულისა! ისწავლეთ კარგად, ებრძოლეთ ყოველგვარ სისუსტეს. შეუპოვრად და მტკიცედ დაეუფ-
ლეთ ცოდნას; აღიზარდეთ ლენინ-სტალინის საქმის ერთგული, სოციალისტური სახელმწიფოს
მაღალკულტუროსანი და განათლებული მოქალაქენი.

ამ ჩემი საახალწლო სურვილებით თქვენთვის, ნორჩით ამხანაგებო!
გისურვებთ ბედნიერ იხალ წელს, მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის მარშალი გ. შუკოვი

ჩემი კათიღი სეავიდები

ჩვენი დიდი დროის 1946 წლის 10ან-
ვარს სულითა და გულით მოგილოცავთ,
უურნალ „პიონერს“ მკითხველებო, და გი-
სურვებოთ წიგნისათვის მიგეცეთ ისეთი დი-
დი მნიშვნელობა, როგორსაც აძლევდა მას
დიდი ლენინი და აძლევს მას ჩვენი საყვა-
რელი მამა და მამწავლებელი დიდი
სტალინი. უურნალ „პიონერს“ კი ვუსურ-
ვებ გამხდარიყოს ყოველი მოზარდისათვის
საჟურნალო მეგობრად და მისი შინაარსი
ყოფილიყოს განათლებისა და ცოდნის და-
უშრობელი წყარო.

მე ვუსურვებ „პიონერს“ ყველა მკით-
ხველს სიყვარულით, ყურადღებით და ნდო-
ბით ეპყრობოდეს თავის ერთგულ მეგო-
ბარს „პიონერს“, გულაბილად მოსთხო-
ვოს მას თავის მისწრაფებათა და ცოდნის
სურვილის დამაკმაყოფილებელი პასუხები.



ვუსურვებ „პიონერს“ და მის მკითხვე-
ლებს დამყარებულიყოს მათ შორის მციდ-

რო კავშირი ჩვენი სამშობლოს საბედნიეროდ.

ორმოც წელზე მეტია ვმუშაობ და ვწერ ბაქშვთათვის საბავშვო კურნალებში და ვიცი, რომ ჟავშვებს უყვარო მოთხრობები, ზღვრები და ლეგენდები. წელს, განზრანული მაჭვს დავწერო მოთხრობები სკოლის ცხოვრებიდან, რადგანაც, ვიცი, ზავშვებს უყვარო სკოლა და აინტერესებთ ამხანაგების, მეგობრებისა და მაწავლებლებისადმი დამოკიდებულება, ბევრმა ჟავშვმა არ იცის, რა თავდადებით ცდილობენ მათი

მაწავლებლები, რომ აღზარდონ ქვეყნისა-
თვის სასარგებლო მოქადაქენი. ამას გარდა, მინდა დავაძუშაო ბაქშვის ბაზოდები, მიუვარს ბავშვები, მიუვარს ჩვენი მშვენიერი სამშობლო და სულიო და გულიო ვუსურვებ მოზარდ თაობას შეიყვაროს იგი, იზრუნოს მისა კეთილდღეობისათვის და ბედიერად იცხოვოს ბეჭრებ თავისუფალ და გამარჯვებულ დიდ საბჭოთა სამშობლოში.

ნინო ნაკაშიძე

მორიბი ეაჭაბიცა

ეხალი ნერი

ჭერმაღალი დარბაზები
მოგიხატავთ მრავალფერად,
მელოდით და მეც გეწვიეთ,
ჩემმა მოსვლამ აგამღერათ.

გაგიბრწყინათ ყველას თვალი
ჩემმა კარგმა საჩუქრებმა,—
გზაში, სადაც კი შეგჩერდი,
ყველგან მითხრეს თქვენი ქება.

გნახეთ, დალლა დამავიწყდა,
მომეწონა თქვენი მხარე.
ჩემი დოენი თქვენთვის მინდა,
თქვენი კარგი გამახარებს.

გარსკვლავებში შობილი ვარ,
ჩანჩერივით მკვირცხლი, მიარდი,
დღეს მიწაზე დასახლებულს
როგორ ძალე შემიყვარდით!

შეგიეროეთ გული მტკიცედ
შიგ ციური ცეცხლი ღვივის;
სწავლის გმირებს ვარსკვლავებთან
გასაუბრებთ მისი სხივი.

მინდა ნათელს უხვად გფენდეთ,
ხიდს ფაგებდე ბევრგან ხღვაზე,
ღამეს ბროლის ფერი ძივცე,
ქოხს—სასახლის სილამაზე;

მსურს გმატებდეთ ჯანს და სიბრძნეს
ყველა ჩემი ოქრო ღილა,
რომ ძომავალ წლების შუქში
მომიგონოთ მუდამ ტკბილად.





ნაძვის ხე სოკოლი

ნაძვის სისათვის შორს ჭაბულა როდი იყო საჭირო, იქნება, სოკოლიქში, აირჩიეს საუკეთესო, უფრო ხუჭუჭა ხე, მოსჭრეს და სატყეო სკოლაში მიიღონა.

ბავშვები ხედავდნენ, თუ როგორ მიაქე-
დეს ნაძვის ხე თუ გადაჯვარედინებულ და-
ფას, რათა მაგრად მდგარიყო იატაქს, შე-
მდეგ მონტიორიმა ვალოფიამ მავოული გაი-
ყვანა ნაძვის ხის გასაშუქებლად და ტო-
რცებზე ჩამოჰკიდა ელექტრო ნათურები.

მეორე დღეს თითქმის დილოდანეე დაწყ-
ყეს ლოდინი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს,
ჯერ კიდევ არ დაბინდებულიყო, ხოლო
ბავშვები წამდაუწმი ეკითხებოდნენ სკო-
ლის მწეს;

— ერთიც ვნახოთ, ლენინი არ მოვიდა?
— თუ ქარბუქი ისევ იქნა, ლენინი მაინც
მოვა თუ არა?

მენი დელი პეტროგრადელი მუშა იყო,
იგი ლენინს ჯერ კიდევ რეცოლუციამდე
იცნობდა. სწორედ ამიტომაც ეკითხებოდ-
ნენ მას, და იგი დარწმუნებით უბრინებდა:

— რაკი ილიქმა სთქვა, მოვალო, მაშასა-
დამე მოვა.

დადგა საღამო, ქარბუქი მართლაც ამოტ-
ყდა. ქარი ფიცვანაში აზუზუნდა და ფიფქი
თოვლი აანიავა. ხოლო შემდეგ თოვლი
ფანტელებად წამოვიდა,

ნაძვის ხე უკვე მორთული იყო, ყველა
სათამაშო თვით ბავშვებმა გააკეთეს. აქ იყო
დათვებიც, კუტდღლებიც, სპილოებიც. ხო-
ლო ყველაზე უკეთესი იყო ლოვაწიოელი
თოვლის პაპა; იგი ნაძვის ხეზე იჯდა—ზედ
წვეროკინაზე.

დრო გაღიოდა, ხოლო ლენინი კი არსად
სჩანდა.

და აქ ბავშვებმა ვიღაც მოზრდილისაგან
გაიგონეს:

— ჲო, ასეთ ქარბუქში, რა თქმა უნდა არ
მოვა.

ბავშვები კვლავ მოხუც მნესთან გაიქცნენ.
მნებ მკაცრად სთქვა:

— მომეშვით! გეუბნებით: რაკი იმან
სთქვა, მოვალო, მაშასადამე მოვა.

კვლავ დაიწყეს ლოდინი. გარეთ ქარი
ზუზუნებს, ფიფქი თოვლი ფანჯრების მი-
ნას ეწარუნება, ას და ამ ხმაურობაში
ვერც კი გაიგონეს, როგორ მოადგა სკო-
ლას მანქანა. მანქანიდან ვლადიმერ ილიას-
ძე გადმოვიდა.

მან კიბე აიარა, ზედასაცმელი გაიხადა,
ცხვირსახოცით სახეზე გამდნარი თოვლი
შეიტანდა და მაშინვე გაემართა დადი
თოახისაკენ, ბავშვებისაკენ,

შია ერთხაშად იცნეს იგი: რამდენჯერ
ენახაო ლენინს პორტრეტი მაგრამ პირვე-
ლად რატომდაც აიბრენ—იდგნენ. და ადგი-
ლიდან ეკი ძირიდნენ. უცქერდნეს ლენინს
და სდუმონენ.

ვლადიმერ ილიას-ძეს დიდ ხანს არ დაუ-
ყოვნებია, მან ეშმაკურად მოჭუტა თვალი
და იკითხა:

— თქვენ შორის ვინ იცის კატა—თაგვო-
ბიას თამაში?

პირველმა უპასუხა ყველაზე დიდმა გო-
გონამ, ვერამ:

— მე!

— და მეც!—ხმამაღლა წამოიძახა ბიჭმა
ლეშამ.

— ჲო და, მაშინ შენ იქნები კატა—უთხ-
რა ვლადიმერ ილიას-ძემ.

ბავშვები წრედ დადგნენ. ნაძვის ხე კი
შუაში იყო. თაგვად დანიშნეს პატარა კა-
ტია. ლეშა კატიას ეცა—მისი დაჭერა ად-
ვილი იყო. მაგრამ კატია ლენინს ჩაბდაუ-
ჭეა. და ვლადიმერ ილიას-ძემ მაღლა აიტა-
ცა იგი:





— კატა თაგვის ვერ შესწოდება!

შემდეგ თაგვად იყო ქსენია. ლეშამ იგი ასიტირა, და თვითონ გახდა თაგვი, ხოლო ქსენია კი—კატა.

დიდ ხანს ითამაშეს და ყველას დასცხა. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში დიდი რუხი სპილო შემოვიდა. ბავშვები ერთბაშავა აცყარდნენ. მართალია, ბევრმა მათგანმა ერთბაშავა გამოიცნო სკოლის როიალის ნაცობი რუხი ჩარსავი. მაგრამ ჩარსავ ქვეშ ვან იყო? ჩარსავი ხელა იჩნეოდა, წინ მოძრაობდა გრძელი ხორთუმი; სპილოს წინა ფეხებზე ქეჩურები ეცვა, უკანაზე კი — ჩექმები. თუ მიკერძოებას არ გამოიჩენდი, ეს ძალიან ჰგავდა ნამდვილ სპილოს. სპილომ ღრუტუხით შემოუარა ნაძვის ხეს, გამოსათხოვრად ხორთუმი გაიქნია და კვლავ ბაჯაჯით წავიდა კარსავენ. ხოლო კარსუკან ჩარსავიდან გამოძგრნენ მონტიორი ვალოდია და სკოლის დარაჯი; ორივე ძალიან ეშმაკი ვინგე იყო. ჩარსავიდან გამოიჩნენ და ოთახში დაბრუნდენ. იქ კი ბავშვები ხარხარებდნენ; ხარხარის გამო ნაძვის ხის წვეროკინაზე ხტუნავდა თოვლის პაპა.

კიდევ ბევრი რამ სამხიარულო იყო იმ უაღამოს. ვიღაც ბავშვმა დაიძახა:

— ახლა კეცემალულობია! კეცემალულობია!

ვლადიმერ ილიას-ძემ ცხვირსახოცი ამოილ და თვალები აიხვა.

მონტიორმა ვალოდიამ საჩქაროდ მიაჩოჩა ნაძვის ხე კუთხეში და ოთახში ხალვათობა შეიქნა.

ლენინმა მკლავები გამაღლა და ფეხის თითების წვეროებზე წავიდა წინ.

ბავშვები აქეთ-იქით გაიქცნენ.

შემდეგ, გვარებოდნენ ვლადიმერ ილიას-ძეს და გაიძახოდნენ:

— ცხელა!

ხოლო ჩოტესაც ვლადიმერ ილიას-ძე სულ ახლოს იყო ხოლმე, ბავშვები ეძახოდნენ:

— დაიწვები!

ან და ჩაცუცქდებოდნენ ზედ ლენინის ხელთან—ხოლო იგი არც კი შეეხებოდა, განხე აუვლიდა.

მაშინ ისინი მოჰყვებოდნენ ძახულების სიმართვის

— ცივა, გაიყინები!

ლენინი მიხვდა, რომ ეს ბავშვები ყველანი ძალიან მარდი იყვნენ, მარჯვედ თამაშობდნენ და, ეტყობოდა, დიდ ხანს მოუხდებოდა თვალახვეულს სიარული.

მაშინ მან თავი მოიკატუნა, თითქოს წინ შიველივარო, მერმე უეცრად მოტრაალდა და პირველ შემხდურს სტაცა ხელი.

ბავშვებმა, როგორც წესია, დაიძახეს:

— გამოიცან, გამოიცან!

დაქერილი კი იციხოდა და ცდილობდა გასხლრომას. ეს იყო ბიჭი სენია.

ვლადიმერ ილიას-ძემ თმები მოუსინჯა, ხელი შეუსვა შებლზე, ლოყებზე:

— სენია!

სენია თან იმას სწუხდა, რომ ხელში მოხვდა, თანაც ესიამოვნებოდა, რომ ლენინს იგი ასოვდა.

შემდეგ პატარა კატიაბ პუშკინის ლექსები წაიკითხა, მაგრამ შეეშალა.

და ტირილი დაიწყო.

ლენინმა ანუგეშა იგა.

კატიაბ ტირილი შესწყვიტა. პატარა ცხვირსახოცით ცრემლები მოიწმინდა და სოქვა:

— ლენინი, მოდი ნუ წახვალ! აქ იცხოვრე. ლენინმა გაიცინა:

— მე ისედაც ახლოს ვცხოვრობ.

შემდეგ ყველამ ნაძვის ხის გარშემოდაიწყო სირბილი. პატარა კატიაბ ვლადიმერ ილიას-ძის გვერდით დაბოლდა, ხელიხელჩაიდებული. ლენინს დიდი, თბილი ხელი ჰქონდა.

ამ დროს ნადევდა კონსტანტინეს-ასულმა ცრუბსკაიამ და შარიამ ილიას-ასულმა — ვლადიმერ ილიას-ძის დამ—ოთახში საჩქარებით სავსე დიდი კალათი შემოიტანეს. ეს საჩქარები ბავშვებს ლენინმა მოუტანა.

ვის ავტომობილი ერგო, ვის საყვირი, ვის, დოლი. კატიაბ დეღოფალა მიიღო.

ხოლო ლენინი როგორლაც შეუმჩნევლად, ხმაურში, ოთახიდან გავიდა და წავიდა.

აი, როგორი იყო ნაძვის ხე სოკოლნიკში 1919 წელს.

თარგმანი არისტო ჭუშაბაძის



ნაძვის ხელ!

ტექსტი ი. გრიშაშვილისა

მუსიკა თ. შავეჩიშვილისა

ცეკვად (1 ან 2 ბავშვი)



The musical score consists of three staves of music. The first two staves are in common time (C) and the third is in 3/4 time. The key signature is one sharp (F#). The lyrics are written below the notes. The first staff starts with 'ნაძ - ვის ხე - ლ', the second with 'ლა - ბა - ზო და მშვე - ნი - ე - რო', and the third with 'რო გორ მინ - და შენ გარ - მე - მო ვი - ცეკ - ვო და ვო - ლე - რო'. The vocal line is supported by a piano accompaniment.

თბილ ოთახში მოგიწვიეთ
გავერთოთ და შენც გავართოთ.
უნივასა და სიცივეში
რა გინდოდა ტუეში მარტო?

ხედავ, სახე გაგიბრწუინდა,
დაგვიმშვენე ბავშვებს მხარი,
ახალი წლის სტუმარი ხარ,
ჩვენი ზამთრის მეგობარი!

ნაძვის ხელ! ნაძვის ხელ!
ლამაზო და მშვენიერო,
როგორ მინდა შენს გარშემო
გიცემდო და დავიმღერო.





ქართლის ლობა მესტა

ახალწლის წინადღეს სოფელში გერმანელები მოვიდნენ. ვინც მოსმწრო, სოფლიდან გაიხიზნა, ვინც დარჩა, სახლიდან არ გამოდიოდა. სოფელში ბავშვები, მოხუცები და ქალები იყვნენ მხოლოდ.

ბინდის მალულად სტეფანე შჩუკინი მოვიდა სახლში. მოხუცი, მწოლიარე დედა ანუგეში, პატარა პავკას მიუალერსა, ხოლო ცოლს კი უთხრა: — ნუ გეშინია ვარენჯა! ჩვენები ახლოს არიან, წისქვილების მარჯვნივ მუხნარში. ჩვენ მალე მოვალთ!

სტეფანე შეიარაღებული იყო. პავკას ბევრჯერ უნახავს მამა სანადიროდ მიმავალი, იარაღასხმული, მაგრამ ახლა იგი სულ სხვა იყო. წასვლის წინ მამამ აკოცა მას და ისევ მიუალერსა. პავკას აკვირებდა ეს ალერსი, თუმცა იგი ძლიერ უყვარდა მამს, მაინც ალერსი ერთობ ძუნში იცოდა სტეფანემ. ბავშვმა ვერ მოითმინა და რამდენჯერმე აკოცა სამაგიროდ მამას.

შუალამით, როცა ყველამ დაიძინა, მოულონებულად კარებზე დაბრახუნეს. შეშინებულმა დედამ კარები გააღო, ოთახში გერმანელი ოფიცერი და ორი ჯარისკაცი შემოვიდნენ. ქერა თფიცერი დაუკითხავად მიუჯდა მაგიდას, ოთახი შეათვალიერა და სთქვა:

— მონადირე სტეფანე შჩუკინი აქ ცხოვრობს?

— დიახ, — მიუგო დედამ.

— სად არის ახლა სტეფანე?

— არ ვიცი!

— ალბათ ტყეში!

ქალმა თავი დალუნა და არაფერი უშასუხა.

— რამდენი დღეა? — განაგრძობდა ოფიცერი.

ქალი კვლავ სდუმდა.

— შენ ხომ იცი, ბიჭიკო! მამა გუშინ სახლში იყო? — პეტითა მან ტახტზე წამომჯდარ პავკას. ბავშვი უნდობლად უცეროდა მას და ხმას არ იღებდა.

— ტყეში პარტიზანები არიან, ქალბატონი, ხომ? — დაუყვირა თფიცერმა.

— არ ვიცი! — უბასუხა ქალმა.

— სად არის, ბებერო, შენი შვილი? — დაუკითხა ახლა ის მწოლიარე მოხუცი. მაგრამ მოხუცი ყრუ იყო და ვერ გაიგონა.

თფიცერი წამოდგა. ნერვიულად გაიარა ოთახში და შეჰკვირა.

— ხმა ამოიღოთ, პასუხი მოგვეცით, თუ ვსურთ ცოცხლები დარჩეთ! შემდეგ ხმას დაუმდგაბლა. ისევ მაგიდას მიუჯდა. ჯაბიძან ბაჟუნინგის ფორმის ბენზინის ასანთი ამოიღო, მაგიდაზე დასდო და პავკას მიუბრუნდა.

— მოდი ბიჭი, რევოლვერი არ ვინდა? მე ნაძის ხესაც მოგიტან დიდს, კარგს...

პავკამ ხელში აიღო იგი, რევოლვერიგით მომართა და გამოჰკრა.

— მაგ შენ გქონდეს, მხოლოდ მითხარი მამა სად არის?

ვარენჯა გაფითრდა. ბავშვი ბენზინის ასანთს ატრიალებდა ხელში.

— გეყოფა, ხოჭვი სად არის მამა, თორემ ამას ისევ წავიღებ!

— წაიღე, ეს რაა, მამას უკეთესი აქვს!

— არა, შენ გქონდეს, მამა ხომ წუხელ აქ იყო, რაო, რა სთქვა, სად მივდივარო?

— მე რა ვიცი. ალბათ სანადიროთ თუ წავიდა!

— ძალლის ლექვი. კარგი ნადირობაა — გამოაგრძელა ოფიცერმა. შემდეგ ჯარისკაცებს მიუბრუნდა, — გაიყვანეთ ეს ქალი და ბოსელში შეაგდეთ. ბავშვიც დედასთან ერთან ჩაჰკეტეთ... ასაფერია, ყველაფერს



გვიამბობენ, როცა მოშივდებათ და შეცივდებათ...

ბოსელში ყინავდა. როცა ჯარისკაცებმა მაგრად ჩაჰეტეს გარედან კარები, დედამ გულში ჩაიკრა პავკა და წასჩურჩულა:

— გენაცვალოს დედა. შენ ყოჩალი ბიჭი ყოფილხარ!

ბავშვი კასრზე ჩამოჯდა, სულ ცახცახებდა, ციოდა. უცებ იგი დედას მიუბრუნდა. ხელები კისერზე მოხვია.

— დედიკი, ამწიე, სახურავიდან გადავქვრები... წისქვილების გზა კარგად ვიცი. მამას ვნახავ და ვეტერი, რომ ჩვენსას გერმანელები მოვიღნენ.

დედა სიყვარულით იქრავდა გულში თავის ბიჭიკოს და არ იცოდა რა ექნა.

მთვარის ჩასვლისას დედამ სახურავზე ააცოცა პავკა. რამდენიმე წუთის შემდეგ ვარენჯამ ჭუჭრუტანიდან დაინახა, როგორ მირბოლა პავკა თავისი დიდი ჩექმებით გაყინულ თოვლზე...

* * *

განთიადის სიჩუმეში ერთბაშად სროლა ასტყდა. სოფელში პარტიზანები შემოვიდნენ. სტეფანე შჩუკინმა რამდენიმე კაცის თანხლებით გერმანელი ოფიცერი დაატყვევა. ვარენჯა გახარებული ეხვეოდა საყვარელ ქმარს. პავკა კმაყოფილი უცეროდა მამას. როცა პარტიზანებს ტყვე

ოფიცერი გრძელდეთ წახლიდან, უცემეს წარმატების სეელქურებიან ჭალარას მიუბრუნდა და უთხრა:

— ძია მაქსიმ, დაიცა!

ბავშვმა მაგილიდან ბენზინის ასანთა აილო და ოფიცერს გაუწოდა.

— საძაგელო კაცო, წაიღე, შენია...

ოფიცერმა ზიზღით შეხედა ბავშვს და კარებს მიაშურა. პავკამ არ დაახანა და



მირბოლა პავკა თავისი დიდი ჩექმებით გაყინულ, თოვლზე...

ბრჭყვიალა ბენზინის ასანთი ფეხებში მიაყოლა.

თენდებოლა. თოვლით დაბურულ არყის ტყის ქეითა მხრიდან ვეებერთელა მზე ამოღირდა. ფანჯარასთან მდგომი ტანაშორილი ნაძვის ხე შეინძრა, თოვლი დაიბერტყა, თეთრი მტვერი გაიბნა ჰაერში.

მოდიოდა ახალი წელი...





ალექს შენელია

მამა ხეას აძღვს ბ ე რ ი ა ს

როცა მზემ ვარდის ფერებით
ღრუბლები შეალამაზა,
და ლოგინილან ადგომა
მე დაგასწარი მამასა.
— შვილო, შენ იცი, მშობლები
არ შეგვარცხვინო, იცოდე,—
მითხარ და ამხანაგივით
ხელი რომ გამომიწოდე,—
გავიგე შენი ოცნება,
გჯეროდეს კარგად ვისწავლი,
ხომ განტოჭს, მამა, გუშინაც
სახლიდან მე გაგისწარი!
სწრაფად გავქუსლე სკოლისკენ
და ტოლებს რომ შევერიყ,
გივის ლიმილით ვუთხარი:
— მამა ხმას იძლევს ბერიას!
— ჩემი მამიკოც! — მახარა,
ვხარობდით თვალსხივოსანი...
და გადავწყვიტეთ რომ ვიყოთ,
ყოველთვის ფრიადოსანი!
განა ბავშვი ვარ, ვერ მივხდე,
შერცხვენა რა სათქმელია,
ფრიადზე რომ არ ვისწავლო.
რას იტყვის ძია ბერია!

მუხან ლაგანიძე


ნანი ჩა აჩჩევები

თქვენ ნიკუშა მოატყუეთ
თხილითა და კონფეტებით,—
არც თეთრ კაბას დაგჯერდებით,
არც წითელ ბანტს დაგჯერდებით
მალე მოვა ნანატრი დღე
და განა შინ გავჩერდები?
წამიყვანეთ,— განა მე კი
არ მაურს ვნახო არჩევნები?

გუშინ დედამ გამაჯავრა,
ბებიკომაც მაშუენინა,
როცა სოქვეს, რომ არჩევნების
იმ სიაში არ ვწერივარ.
წამიყვანე, მაძიკონა,
გეხვეწები დილის შემდეგ...
თუ იმდენად პატარა ვარ,
რომ ყუთთან არ მიმიშვებერ,

როცა დარბაზს გააბრწყინებს
წა ხალხს— დროშის ჩირალდანი,
შე თამამად ავალ სკამზე,
განა თრთოლეთ,— ხმის კანკალით,
ვიტყვი, რომ ვარ სარჯველაქე,
რომ სახელად მქვერა ნანი...
და შევძახებ, რომ ხმას ვაძლევ,
ბერიას და ძია სტალინს.





დარძა

(საბავშვო პოემა)

1.

ლამე არი, ზამთრის ლამე,
ჰთებს ნისლები ჰფარავს.
არა ბრწყინავს ცაზე ოქროს
ვარსკვლავების ფარა.

ვაყინულა ნაკადული —
ჰოწყენილა ბარი
სიცივეში გულსაკლავად
ლაზუზუნებს ქარი.

აქ რა გინდათ, პატარებო,
ვაი თქვენი ბრალი,
რომელ დედამ მიგატოვათ
ცრემლიანი თვალით?

ყინავს, ყინავს, გაცივდებით,
სახლში შედით ჩქარა!
ლამე არი, ველებს თოვლი
თქვენს სიმაღლედ ჰფარავს.

სად წავიდნენ, ვის მიმართონ,
ვინ მიუგდოს ყური,
ვინ აჭამოს დაობლებულთ
ერთი ლუქმა პური?

ვინ აუნთოს იანვარში
წყალდასხმული კერა?
ვინ გაათბოს გათოშილი
ფელია და ვერა?

* * *

სამი ლამე დაიკეცა
ბოროტი და ცივი.

სამმა ლამემ გაიტაცა
შშობლიური სხივი.

შემოვარდნენ ვერაგები
ქურდულად და ძალით;
ქალაქებში ნავარდობდნენ
სისხლიანი ხმალით.
ააოხრეს ყუმბარებით
ბელელი და ბინა.
ყაჩაღური ცეცხლის ალი
ყველგან მოეფინა.

სამი ლამე დაიკეცა
ბოროტი და ცივი.
სამმა ლამემ გაიტაცა
შშობლიური სხივი.

სად წავიდნენ, ვის მიმართონ.
ვინ მიუგდოს ყური,
ვინ აჭამოს დაობლებულთ
ერთი ლუქმა პური?
რა ტკბილია დედის კალა
და მზრუნველი ხელი.
კარის-კარად სიარულ
რა ძნელია, ძნელი!

2.

ლამე არი, ზამთრის ლამე,
ჰთებს ნისლები ჰფარავს.
არა ბრწყინავს ცაზე ოქროს
ვარსკვლავების ფარა.
ქარი სწერავს აქეთ-იქით
ველზე ბაბბის ქულას.
ელავს გზებზე გატენილი
ზარბაზნების ლულა.



შუალამე იწურება,
პალატაში თბილა.
სარქმელიდან მეთვალყურე
იმზირება ხშირად.
სიცივეში გულსაკლავად
დაზუზუნებს ქარი.
ვინ დაარღვევს მყუდროებას,
ვა ი მისი ბრალი.

* * *

არ სჩანს მთვარე, ბნელა, ბნელა
ჯერ შორსაა დილა.
ზარბაზნებთან ორი ლანდი
ახლოვდება ფრთხილად.
სად მიღიხართ, პატარებო
უედია და ვერა?
რომელ გზიდან მოგიყვანათ
ოქვემა ბელისწერამ?



სად მიღიხართ პატარებო,
პატარებო ფრთხილად!
პალატიდან მეთვალყურე
იმზირება ხშირად.


* * *

სად წავიდნენ, ვის მიმართონ,
ვინ მიუგდოს უური?
ვინ აჭამოს დაობლებულთ
ერთი ლუქმა პური?
მერე რაა, თუ პატარა
მკერძევეშ უცემო გული,
მათაცა აქვთ მშობელ კუთხის
წმიდა სიყვარული.
დიდი მუხის ტოტებია,
მწუხარება კმარა!
პიონერის ყელსახვევი
შეარცხვინონ? არა!
მიიხედეს, მოიხედეს,
ზუზუნებდა ქარი —
მთიდან მთაში გადაპქონდა
ცეცხლის ნაპერწყალი.

პალატიდან არ უმზერდათ ერთობები
მტრის ბოროტი თვალი. პირზე
ზარბაზნების ლია ლულებს
შიგ ჩასხეს წყალი.
შუალამე იწურება,
ჯერ შორსაა დილა,
ორი გმირი ნიავივით
შორს მიჰქრიან ფრთხილად

3.

ირიერაუა. ასტყდა ელვა;
აგუგუნდნენ მთები.
ზეცის თაღი დაიფარა
არწივების ფრთხებით.
გაიშალა ცეცხლის ალი,
აელვარდა დაშნა.
ფრონტის ხაზი გაარღვია
ჩვენი ჯარის ვაშამ.
ძტრებმა, თბილი პალატები
ძრატოვეს მალე.
შურის ცეცხლი ღვივებდა
მათ ამღვრეულ თვალებს.
მოიმარჯვეს ყუბბარებია
მოიკრიფეს ძალა.



მეთაურმა მოუწოდა
ბრძოლისათვის ჩქარა.



մացրամ Շեյքը, յև հա մոելու,
յև հա Շեյքահատ?
մատո հովս ზահանցեծի
առ ժաշկուն, առա!
շաճախոյս, գաճմութիոյս,
շաշմիւրդատ տալու,
հու լուլլեծ սազս նաեւ
հայոն լու վյալուտ.
ոյտ եւբնեն, այյե եւբնեն,
շեր օձուց միւրու.
ամ պագածո ոյցնեն, սպած
շիաս ացարծա միւրու.
շնասաց աւրպա ծրծուլա,
պէցելս աղրիւզունեն եմլեծ.
որեռդա յրտմանետմո
առասցարո եմեծ.
միւրու ոռած օժրեծուլա,
շուրեծուլա վելո,
Քուզ մանց յաւու օյնեզն
տազմուրիուլո ցըւլո.
մացրամ եալես Շեմուրեցաս
զոն. շաշմեծիս, զոնա?
զոն Շեշանից դագարուցուս
մուլուրուեծիս ծոնա.
իշենչյ սամիւրու ամութվուլո
օմսեցրուլա լամեն
լա մտա-ցելլեծ եցեծուլա
շամարչացեծիս զամա.
ասալ լուլուս ասալո միջ

օդրիւզուլուն լուրան
ու վուրու ծաօրալո
օմլեծուլա մշաօւագ.

* * *

ամ լորու, հուրա միջ ելազնա, —
ոյւդու լա ցերա —
մուշգումունեն մշալլեծուրագ
ցահալլեծուլ ցերաս.



եան յանչընուն ցակուրեծունեն
յարո սիւրու ծամես.
եան մեցուրեծիս ուզուզունեն
սաելլուցան ամեցս.
լուլունեծունեն, մատս նորի ցուլն
սոնահուլո յրտուրա.
ամայուծունեն, մարտլաց շմօրեծիս
սամայու վյոնդատ.




კონსისტორიული უპინსკი

(გარდაცვალების 75 წლისთავისათვის)

რუსეთის გამოჩენილი პედაგოგი და გა-
მანთავის უფლებელი მოძრაობის პოპულა-
რული წარმომადგენელი კონსტანტინე ღი-
შიტრის-ძე უშინსკი ეკუთვნის XIX საუკუ-
ნის 60-იანი წლების სახელმწიფო მეცნიერთა
და საზოგადო მოღვაწეთა პლეადას, რომ-
ლითაც სამართლიანად ამაყობენ ღილა რუ-
სი ხალხი და საბჭოთა კავშირის ყველა ერი.
ს არის რუსული მეცნიერული პედაგოგი-
კის ფუძემდებელი და მსოფლიო პედაგო-
გიკის კლასიკოსი.

XIX საუკუნის 60-იან წლებში, კაპიტა-
ლისტური წარმოების წესის საბოლოო გა-
მარჯვებასთან დაკავშირებით, აუცილებე-
ლი შეიქმნა ქვეყნის საზოგადოებრივ-კულ-
ტურული ცხოვრების გარდაქმნა, რაც პირ-
ველყოვლისა ძოითხოვდა ხალხში წიგნიე-
რების ფართოდ გავრცელებასა და ახალ
თაობათა აღზრდა-განათლების მეცნიერულ
საფუძველზე დამკვიდრებას. ამ საფუძველს
წარმოადგენდა პედაგოგიკა, რომლის მეც-
ნიერული წანამძღვრები უკვე იყო შექმნი-
ლი რუსეთში 50-იანი წლებისათვის, მაგ-
რამ როგორც გარკვეული მეცნიერული სი-
სტემა, ის მხოლოდ 60-იან წლებში ჩამოყა-
ლიბდა ქ. დ. უშინსკის პედაგოგიური მო-
ღვრების მიხედვით. ამ მოღვრებაში პოვა
თავისი გამოხატულება მეცნიერების ისტო-
რიული განვითარების მთელ მანძილზე შე-
მუშავებულმა თეორიამ და მისი ღროის
რუსეთისა და ევროპის სკოლების პრაქტი-
კულმა გამოცდილებამ. უშინსკიმ ახლებუ-
რად გაარკვა აღზრდის მიზნები, მისი ში-
ნაარსის განმსაზღვრელი მოქანეები, სწავ-
ლების თეორია, სახალხო სკოლის ტიპი და
მსაწავლებლების პროფილი. მან შემუშავა
აგრეთვე მშობლიური ენის სახელმძღვანე-
ლოების შედგენის ახალი პრინციპები და
თვითონვე შექმნა რუსეთის სინამდვილისა-
თვის სრულიად ორიგინალური და შეცნიე-
რული დიაქტიკის მთხოვნათა სიმღლე-
ზე მდგრმი სახელმძღვანელოები „ღეტსკი
მირ“ და „რობინო სლოვონ“. ნახევარ საუ-
კუნეზე მეტ ხანს ემსახურებოდნენ უს წიგ-
ნები რუსეთის ახალგაზრდობას, აწავლიდ-
ნენ მას მდიდარ და ღამაზ ღედაენას და
მის მგზნებარე სიყვარულს.

აღზრდის და მისი შემსწავლი მეცნიერე-
ბის — პედაგოგიკის — საგანი უშინსკის მი-



ხედვით, არის ადამიანი, ხოლო მიზანია მი-
სი ყოველმხრივ შესწავლა. მაგრამ ეს ადა-
მიანი იდეალური ადამიანია. „ყოველ ხალხს
აქვთ თავისი განსაკუთრებული იდეალი ადა-
მიანისა“, — ამბობს უშინსკი. ეს იდეალი შე-
ეფერება და გამოხატავს „ხალხის ხასიათს,
განსაზღვრება მისი საზოგადოებრივი ცხო-
ვრებით, კითარდება მის განვითარებასთან
ერთად... ყოველი ხალხი თავის ლიტერა-
ტურაში, დაწყებული სიმღერით, ანდაზე-
ბით, ზღაპრებით და გათავებული ღრამით
და რომანით, გამოხატავს თავის შეხელუ-
ლებას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა
იყოს ადამიანი მისი გაეგბით“. ამ მხრივ,
უშინსკის აზრით, ყველა მეცნიერებაზე უფ-
რო მეტად პედაგოგის შეუძლია ღაებმა-
როს ხალხს. ასეთი იდეალური ადამიანის
დანიშნულებისა და მისი თვისებების კვლე-
ვა უნდა განსაზღვრავდეს პედაგოგიკის რო-
გორც მიზანს, ისე კვლევის მეთოდს.

ქ. დ. უშინსკის პედაგოგიკა სამ ძირითად
მოტივს ანუ პრინციპს ეყრდნობა: ხალხუ-
რობა, თვითმყოფობა და ჰუმანიზმი. ხალ-
ხურობა წარმოადგენს ხალხის, ისტორიულ
ბრძოლებსა და საარსებო შრომაში შემუ-
შავებულ, ხასიათს. ეს საერთოდ, ხოლო
რუსული პედაგოგიკის ხალხურობაში კი
ამას გარდა უნდა მოსჩანდეს სლავი ადამიანის

სითბო, გულწრფელობა და კეთილშობილება. ხალხურობის პრინციპზე აავი კ. დ. უშინსკიმ რუსეთის ეროვნული განათლების სისტემა. რუსეთის მეფე და ბიუროკრატია უცხოეთის (უმთავრესად გერმანიის) განათლების სისტემის მექანიკური გაღმოტანით კრაფტილდებოდა, მაშინ როდესაც იგი სრულებით არ შეეფერებოდა რუსეთის სინამდვილეს. უშინსკიმ შეემძნა საცხებით ორიგინალური რუსული განათლების სისტემა. მის საფუძვლად მან აღიარა მშობლიური ენა და სახალხო სკოლა.

უშინსკი ყოველმხრივ და ღრმად ჩასწერდა ენის ისტორიულ და ფიქტოლოგიურ მნიშვნელობას ყოველი ხალხის ცხოვრებაში. „ხალხის თაობანი მისდევენ ერთიმეორეს, მაგრამ თვითეული მათვანის ცხოვრების შედეგები რჩება ენაში შთამომავლობის სამეცნიეროდ“, — წერს უშინსკი. მისი აზრით, ენა აერთიანებს ხალხის ძეველ, აწალ და მომავალ თაობებს ერთ ცოცხალ ისტორიულ არსებად, ენა ამ თაობათა მთლიანობაა. ენა ხალხის სიცოცხლის გამომხატველა, უფრო შეტიც: „ის არის ხალხის სიცოცხლის არა მარტო გამომხატველი, არა და იგი თვით ეს სიცოცხლეა“. ერის სიცოცხლე, მისი არსებობა, უშინსკის აზრით, დამოკიდებულია ენის სიცოცხლესა და სიწმინდეზე. „სანამ ცოცხალია ხალხის ენა — ცოცხალია ხალხიც... როცა გაჭრება ხალხის ენა — ხალხიც აღარ არსებობს“.

ბავშვის წარმატებაში მშობლიური ენის დიდი მნიშვნელობა კ. დ. უშინსკიმ განსაკუთრებული მეცნიერულ-ფიქტოლოგიური სიღრმით და ანალიზით დასაბუთა. ბავშვის ყოველმხრივ შესწავლა, როგორც პედაგოგიის საგანი, მისი ფიქტოლოგიის შესწავლით უნდა დაიწყოს. ბავშვის ფისიოური ბუნების „გასაღები“ კი, უშინსკის აზრით, ბავშვის მშობლიური ენაა. ადრეულ ასკის პერიოდში, როდესაც ბავშვმა ჯერ კიდევ არ იცის დედაენა, მისი სულიერი ცხოვრების შესწავლა ძნელია. მშობლიური ენა, უშინსკის თქმით, „ბავშვისათვის არის მის ირგვლივ არსებული ბუნებისა და ცხოვრების საკუთხესო განმარტებელი“ და ცოდნის შეძენის ყველაზე უკეთი საშუალება.

კონსტანტინე უშინსკი, იშვიათი მცოდნე და პატრიოტი რუსული ენისა, ცხადია, ვერ ურიგდებოდა მშობელი ხალხის და პუშკინ-ტურგენევის ენისაღმი ულიოს დამკიდებულებას და თავის მეცნიერულ ბრძოლის დედაენის დასაცავად პოლიტიკურ სამართლებრივ ადლევდა.

რუსეთის გამოჩენილი პედაგოგი რუსეთის გამომხატველობის ური ენების შეზღუდვისა და შევიწროების წინააღმდეგ. ის ვერ ურიგდებოდა იმ ფაქტს, რომ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე პატარა ერების სკოლებში დედაენაზე ლაპარაკისათვის „ბავშვებს აჯარისებენ და სჯიან, როგორც თითქოს სალანდრავი სიტყვებისათვის და ცუდი საქციელისათვის“.

ბრძოლა დედაენისათვის, რომელსაც გასული საუკუნის 50-60-იან წლებში თეორიულად უშინსკი ხელმძღვანელობდა, გადაიქცა მრავალ პატარა ერთა, კერძად, ქართველი ერის ეროვნულ-გამათვაისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ უდიდეს ფაქტორად.

კონსტანტინე უშინსკიმ, როგორც აღვრაშენეთ, ჩამოაყალიბა სახალხო სკოლის ტანი, განსაზღვრა მისი სტრუქტურა, განსაკუთრებული სიცხალით გაარკვია მისი დაწარშენულება, სასწავლო საგნები და სწავლების შინაარსი. გასული საუკუნის 50-60-იან წლების სკოლები, პუშკინის თქმისა და იყოს, ასწავლიდნენ „რაღაცას და როგორიაც“, მაგრამ ამ სწავლის მეტ შემთხვევაში არ ჰქონდა რამე რეალური ღირებულება, ახალგაზრდობის გონიერივი და ზნეობრივი განვითარებისათვის. უშინსკიმ განსაზღვრა სახალხო სკოლის სასწავლო საგნები რეალური განათლების სისტემის მიხედვით, მიიჩნია რა მთავარ საგნებად მშობლიური ენა და ბუნებისეტყველება.

უშინსკი ახალი თაობის აღზრდისა და სკოლის გადამწყვეტ ძალად სთვლილა პედაგოგი: „აღზრდაში ყველაფერი უნდა ეყრდნობოდეს აღმზრდელის პიროვნებას, უეჭველად, ბევრია დამკიდებული სასწავლებლის საერთო წესრიგზე. მაგრამ უმთავრესი ყოველვის იქნება დამოკიდებული უშუალო აღმზრდელის პიროვნებაზე, რომელიც პირისპირ დგას მოსწავლესთან. აღზრდელის პიროვნების გავლენა ჭაბუკ სულზე წარმოადგენს იმ აღმზრდელობითს ძალას, რაც არ შეიძლება შეიცვალოს არც სახელმძღვანელობით, არც მორალური დარიგებით, არც დასჯითა და წახალისუბით. ბევრს ნიშნავს, რასაკირველია, სასწავლებლის სული, მაგრამ ეს სული დგას არა კედლებსა და ქაღალდებში, არამედ აღმზრდელთა უმრავლესობის ხასიათში, სიიდანაც იგი გადადის მოსწავლეთა ხასიათში“.



კონსტანტინე ლიმიტრის-უ უშინსკი დაიბადა 1823 წელს ქ. ტულაში. მამა მისი ლიმიტრი გრიგოლის-ძე, ყოფილი ოფიცერი, სამხედრო სამსახურის მიტოვების შემსებ, თავის ოჯახით დასახლდა უკრაინის ქ. ნოვგოროდ-სევერსკის გარეუბანში.

დაწყებითი განათლება კონსტანტინე უშინსკიმ მიიღო შინ, ხოლო საშუალო — ნოვგოროდ-სევერსკის გიმნაზიაში. მოწაფეობის დროს ჰუნანიტარულ დისკიპლინებში: ისტორია, ლიტერატურა, ენები უფრო მეტად იზიდავდა მას და ამ ცოდნას, რასაც სასწავლებელი აძლევდა სისტემატურად აფართოებდა სკოლის გარეშე დამოუკიდებელი კითხვით. 1840 წელს ქ. დ. უშინსკიმ დასრულა ნოვგოროდ-სევერსკის გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში დასრულდა ქ. დ. უშინსკის ჩამოყალიბება როგორც მოქალაქისა და მეცნიერისა. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებამ გამოიწვია რუსეთის ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის გარდაქმნის აუცილებლობა და სავალე ევროპის მოწინავე კულტურისა და ცივილიზაციის მიხედვით. ამ ევროპული გზის პროგრესულობას აღარებენ მაშინ რუსეთის რევოლუციონერი-დემოკრატები გერცენი, ბელინსკი, იგარიბო და 40-იანი წლების რუსეთის საზოგადოებრივ-კულტურული მოძრაობის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, ე. წ. „ზაპალნიკები“, როგორიც იყვნენ დიდი რუსი მწერალი ი. ტურგენევი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები ტ. ნ. გრანიცკი, პ. რედინი, ლიტერატორები პ. ანენკოვი, ი. პანეუკი, სტანკვიჩი და სხვები. ქ. დ. უშინსკის თანავრძნობა მათ მხარეზე იყო.

4 წელი დაპყო მოსკოვის უნივერსიტეტში კონსტანტინე უშინსკიმ. ის აქ ახლო მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა წერებში, ბევრს კითხულობდა, გატაცებული იყო თეატრით, გაეცნო ხალხს: მის მძიმე ეკონომიკურ და უფლებრივ მდგომარეობას, მის კულტურულ დაბერივებას, მის ზრახვებს და სულისკეთებას. ყოველივე ამან გარდაქმნა ქ. დ. უშინსკი. მის ახალგაზრდულ აზროვნებას ჩერა შემოეხსნა რომანტიკული გარსი და მეოცნებე ჭაბუკი კრიტიკულ რეალისტად აქცია.

1845 წელს ქ. დ. უშინსკიმ დასრულა მოსკოვის უნივერსიტეტი და მიწვეულ იქნა ქ. იაროსლავლის იურიდიულ ლიცეუმს

პროფესიონალის მოვალეობის აღმასრულებელი უშინსკი და რუსეთის მოლიტიკური ეკონომიკისა და აღმინისტრატორული სამართლის დარები. ის ატარებდა მოწინავე, მატერიალისტურ იდეებს. ამის გამო 1848 წლის დამლევს უშინსკი დაითხვეს და, იაროსლავლში რომ აღარ ედგომებოდა, პეტერბურგს მიაშურა. მას სურდა ისევ მასწავლებლობა დაწყო, ძაღრამ მისი უკანასკნელი ორი წლის ბიოგრაფიით, არამათუ უმაღლეს სასწავლებელში, ხაშუალოშიც კი არსად დანიშნეს. პეტერბურგის სამპერატორო ბიბლიოთეკაში ატარებდა უშინსკი დიდ დროს, მაგრამ უსამსახუროდ ყოთნა აწესდებდა როგორც მორალურად, ისე მატერიალურად.

1849 წლის 20 დეკემბრის დღიურში კ. ლ. უშინსკი აღნიშნავდა: „რაც შეიძლება მეტი სარგებლობა . მოუტანო ჩემს სამშობლოს. ი ერთადერთი მიზანი ჩემი ცხოვრებისა. ამისკენ უნდა მივმართო მოელი ჩემი უნარი“.

1855 წელს უშინსკი ინიშნება პეტერბურგის მაცლობელ პატარა ქალაქ გატჩინის ობოლ ქალთა ინსტატუტის ჯერ გოგრაფიის მასწავლებლს, ხოლო შემდეგ ინსპექტორის თანამდებობაზე. სამაგალითოდ დააყენა მან გატჩინის ობოლთა ინსტიტუტის საქმე, განსაკუთრებით აღმზრდელობით მუშაობა.

1859 წელს დაისვა საკითხი იმპერიაში ყველაზე უძველესი და უდიდესი ქალთა ინსტიტუტის—პეტერბურგის სმოლნის ინსტიტუტის—მუშაობის გარდაქმნის შესახებ და ამ მიზნით ქ. დ. უშინსკი დანიშნეს მის ინსპექტორად.

პეტერბურგის სმოლნის ქალთა ინსტიტუტი, რომელსაც თავის უმთავრეს დანიშნულებად მიაჩნდა ქალწულთათვის ესწავლებინა უცხო ენები, მუსიკა, ცეკვები და „კარგი მანერები“, ქ. დ. უშინსკიმ გამოიყანა ნახევრადმონასტრული მდგომარეობიდან და ცხოვრებას დაუახლოვა; ხანმოკლე იყო უშინსკის მუშაობა ამ ინსტიტუტში, მაგრამ მან შესძლო შთაებერა მისთვის.

რუსული, მშობლიური სული და სასარგებლო დაწესებულებად ექცია.

საზღაპრო, თავგანწირულ შრომას ეწეოდა უშინსკი ყოველთვის, მაგრამ 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში ის პირდაპირ ზეაღამიანური ენერგიით მუშაობდა. ქალთა საშუალო განათლების რეფორმების ხელმძღვანელობაში ხმოლნის ინსტრუმენტში, განათლების სამინისტროს უურნალის რედაქტორებამ, ლრმა მეცნიერულ-პედაგოგიურმა წერილებმა უაიშვიათი დიდაქტიკური ნიჭით შედევნილმა სახელმძღვანელოებმა კოლოსალური ენერგია წართვეს უშინსკის, ჩქარა მოქანცეს იგი. ამასთან სმოლნის ინსტიტუტის „პრაბის“ წარმომადგენელი მღვდელი და ძველი აღმზრდელ-მაწავლებლები, ინსტიტუტის უფროსის მეთაურობით, შეშჯოთებულნი უშინსკის რეფორმებით, ამხელრდნენ მის წინააღმდეგ, დაიწყეს მისი დაბეზღება, მსაბრალად სდებდნენ მის „ურმუნოებასა“ და „პოლიტიკურ არაკეთილსაიმედობას“. უშინსკი ახერხებდა თავის მართლებას, მაგრამ მაინც ძალიან განიცდიდა უსამართლო დევნება.

კ. დ. უშინსკი დაავადმყოფდა. 1862 წლის დამდეგს მას, ტუბერკულოზით დაავადებულს, მოუხდა მიეროვებინა ინსპექტორის თანამდებობა. პრატიკულ-ორგანიზაციული მუშაობა რომ აღარ შეეძლო, გადასწყვიტა ამიერიდან, სანამ ძალონე გააჩნდა, არ შეეწყვიტა თეორიული მუშაობა პედაგოგიკურ მეცნიერებაში.

1862 წლის მაისში, თავისი ოჯახით გაემგზავრა დასვლეთ ექრობას, სადაც დარჩა 5 წელიწადს—1867 წლამდის.

უშინსკიმ ინახულა და შეისწავლა შვეიცარიის, საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის დაწყებითი სკოლები, სემინარები, ქალთა სასწავლებლები და სახელმძღვანელოები.

უცხოეთში ყოფნა უშინსკიმ გამოიყენა აგრეთვე რუსეთის სახალხო სკოლების სახელმძღვანელოების შედეგნისა და პედაგოგიკის ახალი პრობლემების დამუშავებისათვის. 1867 წელს გამოსცა თავისი დიდი წიგნი „ანთროპოლოგია“, I ტომი, 1869 წელს კი, II ტომი. პირველი შეიცავს „ფიზიოლოგიურ ნაწილს“ და „ფსიქოლოგიური ნაწილის“ დასაწყისს, ხოლო მეორე — ფსიქოლოგიური ნაწილის გაგრძელება-დასასრულს. ანთროპოლოგიის III ტომი უშინსკის განზრასვით უზა ყოფილიყო პედაგოგიკა, მაგრამ ისე ადრე შესწყდა მისი სიცოცხლე, რომ მან მხოლოდ მცირეოდენი ძალალის შეკრება მოაწრო ამ ტომისათვის.

1866 წელს რუსეთის განათლების მინისტრად დანიშნეს საშინელი რეაქციონერობაზე დიმიტრი ტოლსტიო, რომელიც სდევნიდა ყოველ ახალს და პროგრესიულს სახალხო, განათლებაში. ის ებრძოდა რეალური განათლების იდეალსა და პრეტიცეს. აძლიერებდა მემამულების გავლენას სასოფლო სახალხო სკოლებზე, მან დაწესდა პოლიციური მეთვალყურეობა უბალეს სასწავლებელთა სტუდენტობაზე და სხვ. დიმიტრი ტოლსტიო სდევნიდა კარგ, მუცნიერულ საფუძვლებზე აკებულ სახელმძღვანელოებაც და, ბუნებრივია, მისი რისკია პირველად უშინსკის სახელმძღვანელებს დაატყდა. მან აკრძალა უშინსკის „დეტსკი მიზ“.

კ. დ. უშინსკის ამხევებლენენ მაწინავე მასწავლებლები და საზოგადოება; მისმა სახელმძღვანელოებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ძნელი იყო მისთვის იმ ატმოსფეროში მუშაობა, რომელსაც სწავლავდა 60-იანი წლების დამლევს დაწყებული პოლიტიკური რეაქცია.

1869 წელს ექიმების რჩევით უშინსკი წავიდა ყირიმში სამკურნალოდ, ხოლო 1870 წლის შემოდგომაზე კიევში გადასახლდა მთელი ოჯახით, ორი თავისი ქალიშვილი მიაბარა აქ ინსტიტუტში, მაგრამ საერთოდ ვერ მოეწყო ვერც ბინათ, ვერც მყულრებით. ფილტვებილან ატეხილი სისხლის დენა კი კატასტროფის სიახლოვეს უქადდა.

ისევ ყირიმში წასვლა ურჩიეს მაც საზამთროდ. ორი უმცროსი ვაჟი მიჰკვებონდა გზაში, უვლიდნენ, ქაუბრებოდნენ, ეფერებოდნენ, ყავარჯნად და იმედად უდგნენ მხრებში აღერსიან მამს. მაგრამ მხოლოდ ოდესამდე მიაღწია უშინსკიმ. გზაში გაცივებულიყო, ფილტვების ანთება დაემართა და 1870 წლის 21 დეკემბერს, ძველი სტილით, ვარდაიცვალა. ოდესიდან უშინსკის ცხელარი კიევში მოასცენეს და აქ დაკრძალეს ვიდუბიცის მონასტრის გალავანში, დნეპრის ნაპირს ასწლოვანი წაბლის კალთებს ქვეშ.

სიკვდილის წინ ორი რამ ანალებლებდა ქონსტანტინე უშინსკის: სინათლის ნაკლებობა და თავისი „ანთროპოლოგიის“ მესამე, დამთავრებელი წიგნი. და ახლა, მის გარდაცალების 75 წლისთავზე, როდესაც საბჭოთა კავშირის ხალხი ცისკროვანი სინათლით მასავს მის კეთილშობილ სახელს, ხოლო ჩვენმა პერაგოგიურმა მეცნიერიბაშ მრავალი ახალი წიგნი უძღვნა მისი იჯ პის უშემდგომ განვითარებას, ორივე ეს ნაღველი მოსცილდა მის გულს, რომელიც თითქოს ახლაც პეტეტში ჩვენი სიციალისტური ახალგზრდობის მშობლიური სიყვარულით.

ჩვენი სამშობლო

„ჩვენი სამშობლო, ჩვენი მშობლიური მიწა — დედა-რუსეთი. სამშობლოს ცუწოდებთ ჩვენ რუსეთს იმიტომ, რომ მასში უხსოვარი ღროიდან ცხოვრობდნენ მამები და პაპები ჩვენი. მშობლიურ მიწას ვუწოდებთ მას იმიტომ, რომ აქ დავიბადეთ ჩვენ, აქ ლაპარაკობენ მშობლიურ ჩვენს ენაზე, და ყველაფერი აქ ჩვენთვის მშობლიურია; დედას ვუწოდებთ იმიტომ, რომ მან გამოგვება ჩვენ თავისი პურით, გვასვა თავისი წყალი, გვასწავლა თავისი ენა; როგორც დედა გვიცავს და გვმუარველობს ყოველი მტრისაგან...
 ... ერთი ჰყავს აღამიანს მშობელი დედა, ერთი აქვს მას სამშობლო.

* * *


.... „იყავი შეილი შენი სამშობლოსი, ღრმად შეიგრძნე შენი კავშირი მშობლიურ მიწასთან, შეილივით მოეყარი შენს სამშობლოს, ერთი ასად დაუბრუნე მას ის, რაც მიიღე მისგან“.

ჩათამი და იხვის ჭუჭრები

მოინდომა დედაკაცმა იხვის მაშენება.
 იყიდა იხვის კვერცხები, დასვა ზედ
 კრუხი და ელოდება, როდის გამოჩეუს ჭუ-
 ჭულებს.

ზის კვერცხებზე კრუხი, მოთმინებით
 ზის, ჩამოხტება ცოტა ხნით საჭმლის შე-
 საკენკად და ისევ ბუდეში ჩაჯდება.
 გამოჩეკა ქათამია ჭუჭულები, უხარია,
 კრიახებს, ეზოში დაჲყავს, მიწას უფხვნის
 — საჭმელს ეძებს მათვის.

გადავიდა ერთხელ ქათამი თავისი ნაჩეკი
 ჭუჭულებით ღობის გადაღმა, მივიდა გუბე-
 ზე. დაინახეს ჭუჭულებმა წყალი, ყველა
 იქით გაიქცა, ერთიმეორეს მიჰყვნენ ცურ-
 ვით. ქათამი, საწყალი, ნაპირზე დარბის,
 ქოთვოთებს, ჭუჭულებს ეძახის, — ეშინია—
 დაიხრჩობიან.



ჭუჭულები კი, წყლით გახარებულნი,
 დაცურავენ, ჰყვინთავენ და ნაპირზე ამოსვ-
 ლას არც კი ფაქრობენ. ძლიერს მოაშორა
 დედაკაცმა ქათამი წყლის ნაპირს.





„ეს მავზოლეი დგას ქვეყნის გუდში,
ეროშების ჩრდილი აქ სძინავს დენინს.
და კუბოც იმას ხედს ვეღარ უშედის
იყოს ცოცხადი სხივების მფენი“.

ჯაგული

მოსკოვი. წითელი მოედანი.

აქ კრემლის კედელთან აღმართულია საბჭოთა ხალხისა და მოწინავე კაცობრიობის უძვირფასესი და წმიდათაწმიდა ძეგლი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს მავზოლეუმი.

აქ, მავზოლეუმში, განისავენდს მსოფლიოს უდიდესი აღამინი. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების შემქმნელი, მშრომელთა ბელადი და მეგობარი.

მავზოლეუმის გარეგნული ხედი ყველა-სათვის ნაცხობია. იგი აგებულია არქიტექტურის აკადემიკოსის ა. ვ. შესევის პროექტით, მოპირკეთებულია შავი და ნაცრისფერი ლაბრადორითა და უძრავინული წითელი გრანიტით, მავზოლეუმის დამაგვირგვნებელი კარელური წითელი შეწარული ქვის ფილა დაყრდნობილია სკეტებზე სსკადასხვა ქანის გრანიტისა, რომლებიც გამოგზავნილია. საბჭოთა კავშირის ზელა რესპუბლიკიდან. შესასვლელი კარის თავზეა შავი გრანიტის მთლიანი ფილა, რომელზეც წითელი მეტამული ქვებით წარწერილია — ლენინი.

მავზოლეუმის შიგნით, სამგლოვიარო ფართო დარბაზში, დადგმულია მინით თავდაცურული სარკოფაგი, რომელშიც ასენია დიდი ლენინი. დიადია ლენინის სახე. მნახ-

ველი სულგანაბულნი, ანთებული თვალებით დაცემერიან მარადდაუვიწყარი და ახლობელი სახის ნაკვთებს.

ლენინი თითქოს ახალი გარდაცვალებულია. არ გჯერათ, რომ მისი გული უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც არ ძერს.

1924 წლის 21 იანვარს გორკაში, მოსკოვის ახლოს, გარდაიცვალა დიდი ლენინი.

ეს იყო უდიდესი დანაკლისი საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, მსოფლიო მუშათა კლასისათვის, პროგრესული ჭაცობრიობისათვის.

ყველას სასოწარკვეთილების გრძნობა იყიდობდა, როცა წარმოიდგენდა რომ კუბოს სახურავი და მიწა სამუდამოდ დაჰუარავდნენ უსაზღვროდ საყვარელი ბელადის სახეს. ეს არ უნდა მოხდეს — ასეთი იყო მშრომელთა ფართო მსების სურვილი. უკვე 23 და 24 იანვარს მთავრობის კომისიის სახელზე მოვიდა დეპეშები. კიეველ რკინიგზელთა ჯგუფის თხოვნა იყო: „დაუყოვნებლივ დაავალეთ სათანადო სპეციალისტებს შეიძულაონ საკითხი ძეგინვას ვლადიმერ ილიას-ძის სხეულის ათასეული წლების მანძილზე შენახვის შესახებ“. ამას-ვე მოითხოვდნენ როსტოკელი მოსწავლეები, უკრიოლოვის ქარხნის მუშება და ინჟინრები, დონბასის მეშახტები და მრავალი სხვა. დამკრძალავა კომისიამ მარტო სამი დღის განმავლობაში რამდენიმე ათასი ასეთი შინაარსის დეპეშა შეიძლო.

ხალხის ამ თხოვნის შედეგად მთავრობამ დაადგინა, რომ ლენინის სხეული შენახული ყოფილიყო კრემლის კადელთან აგებულ დროებითი აკლდამაში, რათა ფართო



შაქებს საშუალება მისცემოდათ გამოშვი-
ღობებოდნენ საყვარელ ბელადს. უკვე
თებერვლის თევში ლენინის კუბოსთან გაი-
არა ასიათასზე შეტმა კაცა და მსურველ-
ნი კიდევ ბევრნი იყვნენ. მაგრამ გარდა-
ცვალების პირველ დღეს პროფესორ აბრი-
კოსოვის მიერ გაკეთებული შემურვის
(ბალზამირების) მიზანი იყო სხეულის შენახ-
ვა შეღარებით მოკლე ვაღის განმავლობა-
ში. ამიტომ, გაზაფხულის მთაბლობის გა-
მო, შემდგომი შენახვა შეუძლებელი გახ-
და. სამედიცინო კომისიის დასკვნით საჭი-
რო იყო საშრატო ზომების მიღება.

ამხანაგ სტალინის მითითებით მოწყობი-
ლი /იქნა თათბირი ჩვენი ქვეყნის გამოჩე-
ნილ მეცნიერთა მონაწილეობით. ვ. მ. მო-
ლოტოვის, ფ. ე. ძერუხისკისა და ლ. ბ.
კრასინის გარდა თათბირს ესწრებოდნენ
პროფესორები: ა. ი. აბრიკოსოვი, ბ. ს. ვა-
ისბროდი, ვ. პ. ვორობიოვი, ა. ა. დეშინი,
ბ. ი. ზბარსკი, ვ. ი. კარუზინი და ვ. ნ.
როზანოვი და სხვ.

თათბირის მონაწილენი გულისტკივილით
აღნიშნავდნენ, რომ მსოფლიო მეცნიერებას
არ გააჩნია ისეთი საშუალება, რომლითაც
შეიძლებოდა ვ. ი. ლენინის სხეულის შენა-
ხვა დიდი ხნით ისე, რომ სხეული არ დაე-
კარგა გარდაცვალების პირველ დღეებში
მიღებული სახე..

მიცვალებულთა შემურვის ხელოვნება
ცნობილი იყო ჯერ კიდევ უძველეს დროს.
რამდენიმე ათასი წლის წინა ჩვენს ეპო-
ქამდე ეგვიპტელებმა, ჩინელებმა, ფინიკიე-
ლებმა, სპარსელებმა, ებრაელებმა და სხვა
ხალხებმა იცოდნენ შემურვის სხვადასხვა
მეთოდები, ამ საშუალებებით შემურვილი
ცხელარი დიდხანს ინახებოდა, მაგრამ ისე
იცვლებოდა, რომ გარდაცვალებულის პირ-
ვანდელ სახესთან მას მსგავსება არ ჰქონ-
და. (მაგალითად, ეგვიპტური შუმია).

ამგვარად შემურვის როგორც ძეველი,
ისე ახალი მეთოდები უვარებისი იყო.
ლენინის სხეული უნდა ყოფილიყო ჩვეუ-
ლებრივი ჰაერისა და ტემპერატურის პირო-
ბებში, ყოველდღიურად იგი უნდა ენახა
ათასობით ადამიანს და აშასთან, რაც მთა-
ვარია, მას უნდა შენარჩუნებოდა ლენინის
სახე.

საბჭოთა მეცნიერების ლირსების საქმე
გახდა ამ უძნელესი ამოცანის წარმატებით
გადაჭრა. უნდა აღინიშნოს, რომ სიძნელის

მიხედვით ეს ამოცანა უმაგალითო ერთგულია
მსოფლიო ძეცხიერებაში. შემოწმება
ამ სამუშაოს შესრულება დაევალო
პროფესორებს ვ. პ. ვორობიოვს (ხელმძღ-
ვანელი), ბ. ი. ზბარსკისა და პ. ი. კარუ-
ზინს; ვორობიოვს ასისტენტებს ა. ნ. უზ-
რავლიოვს, ა. ლ. შაბალაშს და ი. გ. ზე-
კოვსკის. უდიდესი დაძღულობითა და თავ-
დაღებით მუშაობლენ ძეცნიერები, რათა
გამოერკვათ, თუ რა ფარგლებში შეიძლე-
ბოდა თანამედროვე ანატომიისა და ბიოქა-
მიის მიღწევათა გამოყენება ამ პრობლემის
გადასაჭრელად.

ოთხი თვის მძიმე შრომა გამარჯვებით
დამთავრდა. მეცნიერთა საექსპერტო კომი-
სიამ სცნო, რომ შემურვა წარმატებით და-
გვირგვინდა და ლენინის სხეული შეინახება
თეული წლების მანძილზე უცვლელად.

1944 წლის, ლენინის გარდაცვალებიდან
20 წლის თავის შესრულებასთან დაკავში-
რებით, მთავრობის კომისიამ სსრ კავშირის
ჯანმრთელობის სახალხო კომისირის გ. ა.
შიტერევის, აკადემიკოსების ა. ი. აბრიკო-
სოვის, ნ. ნ. ბურდენკოსა და ლ. ი. ორბე-
ლის შემადგენლობით შოაზდინა ლენინის
სხეულის შემოწება და აღნიშნა, რომ ოცი
წლის განმავლობაში მას არ განუცდია
ცვლილება და იგი ამავე მდგომარეობაში
შეინახება დიდი ხნის განმავლობაში.

საბჭოთა მეცნიერების მიერ შემუშავე-
ბული შემურვის ეს ახალი მეთოდი მსოფლი-
ლით მნიშვნელობის მეცნიერულ მიღწე-
ვას წარმოადგენს. ასე წარმატებით შეა-
რულეს ჩვენმა მეცნიერებმა საბჭოთა ხალ-
ხის, პარტიისა და მთავრობის, დიდი
სტალინის დაგალება გამოენახათ ლენინის
სხეულის შენახვის საშუალება.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში
ლენინის მავზოლეუმი 20 მილიონამდე ადა-
მიანმა ინახულა. მათ შორის იყვნენ მსოფ-
ლიოს ყველა ეროვნებათა წარმომადგენ-
ლები.

კვლავ მრავალი ათეული წლების მან-
ძილზე ივლიან აქ ადამიანები, რათა მუხ-
ლი მოყარონ უდიდესი ადამიანის წინაშე,
აღივსონ ახალი ენერგიით და განაგრძონ
თავდაღებით ბრძოლა იმ დიალი იდეების
განსახორციელებლად, რომელსაც შესწირა
თავისი ნათელი სიცოცხლე ლენინმა—უძა-
დავმა უკვდავთა შორის.

ლ. ხოვარიშვილი

ლენინის დღი

ქალაქის დაბადება

„ადგილი, სადაც გაშენებულია პეტერბურგი, მრავალი საუკუნის მანძილზე უთანხმოებისა და შეხლა-შემოხლის საგანი იყო ფინელებს, შვედებსა და რუსებს შორის“, — ასე სწერდა კარლ მარქსი პეტერბურგის შესახებ. ბალტის მხარეში სლავები IX საუკუნეში გამოჩნდნენ. ნოვგოროდელებმა აქ მაღვე გამოხეს მრავალი ქალაქი და ცახე (კოპორიე, იამა, ივანგორიდი და სხვა). მდინარე ნევის შესართავიდან შემდინარო გზა „ვარიაგებიდან საბერძნეთში“.

პეტერ I ეპოქაში რუსეთი გადაიქცა უძლიერეს სახელმწიფოდ ევროპაში. 1703 წელს შვედებთან ომის შემდეგ ფეოდალური რუსეთის დიდი რეფორმატორმა პეტერ I, გაითვალისწინა რა მომავალი ქალაქებს ადგილის მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მდინარე ნევის დელტასთან საფუძველი ჩაუყარა ახალ ქალაქს, რომელსაც „სანქტ-პეტერბურგი“ უწოდა, (ე. ი. „წმინდა პეტერს ქალაქი“).

პეტერ I პირმშო—პეტერბურგი წარმოადგენდა რუსეთისათვის სასიცოცხლო და აუცილებელ გზას ბალტიის ზღვაში, ამიტომ უწოდებდნენ მას „ევროპის ფანჯარას“, რომლითაც რუსეთი უკავშირდებოდა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს.

1704 წელს პეტერმ კუნძულ კოტლინზე გაშენა ციხე კრონშტადტი, რომელიც იცავდა. პეტერბურგთან მისასვლელ გზას. მანვე საფუძველი ჩაუყარა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

რუსეთის მეცნიერების კერა

ქალაქის ისტორიასთან მჭიდროდაა დაუკავშირდული რუსეთის უდიურესი მეცნიერებისა და მწერლების ცხოვრება და მოღვაწეობა. აქ ახლანდელ კოლონიალისტების პროსპექტზე ოცი წელიწადი ცხოვრობდა გამოჩენილი პოეტი ნეკრასოვი. პეტერბურგში ცხოვრობდნენ ასევე მნიშვნელოვანი თეატრები შესანიშნავი მხატვრები რეპირი და სემირადსკი, ბრიულოვი და ივანოვი, კოროვინი და ფედორვი და სხვ.

20



ტურგენევი და გრიგორევიჩი, ჩერნიშევსკი და პისარევი, გონჩაროვი და ფეტი, სალტიკოვ-შედრინი და ლისტოვევსკი. აქ ჩაუყარეს საფუძველი რუსულ მუსიკას გენიალურმა კომპოზიტორებმა გლინკამ და ჩაიკოვსკიმ და მთელ მსოფლიოს ამცნეს რუსული მუსიკის სიღიადე.

226 წლის წინათ პეტერ I განკარგულებით პეტერბურგში დარსდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, რომლის შესანიშნავი იუბილე იღლესასწაულა ჩენება ქვეყანაში 1945 წელს.

გენიალურმა ქიმიკოსმა ლიმიტრი მენდელევმა ამ ქალაქში საფუძველი ჩაუყარა ელემენტთა პერიოდულ სისტემას და ახალი ეპოქა შექვემდა ქიმიაში.

ლენინგრადში მოიპოვება მსოფლიო მნიშვნელობის საგანმურებელი: სახელმწიფო ერმიტაჟი თავისი უნიკალური განძურულით, ძველი მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, სალტიკოვ-შედრინის სახელობის უდიდესი საჯარო ბიბლიოთეკა (დაახლოებით 9 მილიონი ტომი), სამხატვრო აკადემია, საიდანაც გამოვიდნენ შესანიშნავი მხატვრები რეპირი და სემირადსკი, ბრიულოვი და ივანოვი, კოროვინი და ფედორვი და სხვ.

1839. წელს პეტერბურგიდან 10 კილომეტრის მანძილზე დარსდა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი პულკოვოს ობსერვატორია. მისი პირველი დირექტორი იყო

დადთ რეუნი ასტრონომიის გამოცდის-შე
სტრუვე:

ლენინგრადი იყო და ამჟამადაც არის რუ-
სული ეროვნული კულტურის უდიდესი ქე-
რა და სიმაცე.

ტრადიციათა ჩალაპი

ლენინგრადს შესანიშნავი საბრძოლო და
რევოლუციური ტრადიციები იქნა. იგი მუ-
დამ წარმოადგენდა რუსეთის უდიდეს რე-
ვოლუციურ ცენტრს. მისი თვითეული ქუ-
ნა, თვითეული აღილი, მოწმეა რუსეთის
რევოლუციური მოძრაობის ისტორიისა,
ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და
მოღვწეობისა.

პეტერბურგში — პეტრე-პავლეს ციხეში
მეფის ჯალათებმა ჩამოახრეს დეკაბრის-
ტების აჯანყების მეთაურები. ამ ციხეში
იყვნენ პატიმრად დიდი რუსი მოაზროვნეე-
ბი ბაკუნინი და ჩერნიშვილი. აქ, 1878
წელს ჩამოყალიბდა „რუს მუშათა ჩრდი-
ლოეთის კავშირი“, რომელსაც სტეფანე
ხალტურინი ხელმძღვანელობდა.


შოთარი ისტორიის ორი უდიდესი გე-
ნიონის ლენინისა და სტალინის მოღვაწეო-
ბასა და რევოლუციურ ბრძოლასთან მყიდ-
როდა დაკავშირებული ქალაქის ისტორია. 1893 წელს ახალგაზრდა ლენინი პეტერ-
ბურგში ჩადის, „სათავეში უდგება რევოლუ-
ციურ მარქსისტებს და ხელმძღვანელობს
„ნახოდნიკების“ წინააღმდეგ ბრძოლას.
ლენინმა აქ ჩამოყალიბა „მუშათა კლასის
განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავში-
რი“ (1894-1897 წლებში). და ამით მოაზრა-
და რევოლუციური მარქსისტული მუშათა
პარტიის შექმნა.

ლენინთან ერთად მრავალი წლის განმავ-
ლობაში მოღვაწეობდა პეტერბურგში ამხა-
ნაგი სტალინი, რომელმაც არალეგალური
მუშაობა აქ 1911 წელს დაიწყო სოლვიჩე-
გოდსკის გადასახლებიდან გამოქცევის შემ-
დევ.

თაობების რევოლუციის აკვანი

1917 წლის ამბებმა დიდების შარავანდე-
ლით შემოსეს ლენინის ქალაქი. პირველ იმ-
პერიალისტურ ომში მეფის რუსეთის ჯა-
ნების დამარცხებამ და სამეურნეო ნგრე-
ვაშ მძლავრი რევოლუციური აღმავლობა გა-
მოიწვია მთელ რუსეთში, როს მთავრი კე-
რას პეტერბურგი წარმოადგენდა. ამ დროს
ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კო-
მიტეტის ბიურო პეტერბურგში იმყოფებო-
და და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა
რევოლუციურ მასებს.

1917 წლის 3 (ახალი სტილით 16) აპრილი
რის ლენინი პეტერბურგიდან ჩამოვიდა და და-
ჯავშნიანი ავტომობილიდან წარითავებუ-
რავისი ცნობილი სიტყვა, რომელშიც მოუ-
წოდებდა მსახურს სოციალისტური რევოლუ-
ციის გამარჯვებისათვის ბრძოლისაკენ. ცა-
რიზმის დამხმაბის შემდეგ ლენინი იძულე-
ბული გახდა გარარიდებოდა დროებითი
მთავრობის ჯაშუშებს და ფარულად ეც-
ხოვრა საღვეურ რაზლივის მახლობლად, მაგ-
რამ იქიდანაც განაგრძობდა ბოლშევიკუ-
რი პარტიის საქმიანობის ხელმძღვანელო-
ბის პეტერბურგში მყოფ თავის თანამებრ-
ძოლთა და მოწაფეთა სტალინის, სვერდ-
ლოვის, მოლოტოვის და ორჯონიქიძის სა-
შუალებით.



ლენინგრადი. — სმოლნი

7 ოქტომბერს ლენინი არალეგალურად
ჩამოვიდა ფინეთიდან პეტერბურგში, ხო-
ლო 10 ოქტომბერს პარტიის ცენტრალური
კომიტეტის ისტორიულ სხდომაზე გადაწყ-
და უახლოეს დღეებში დაწყებულიყო შეია-
რალებული აჯანყება. 16 ოქტომბერს პარ-
ტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე,
აჯანყებისათვის ხელმძღვანელობის გასაწე-
ვად არჩეულ იქნა პარტიული ცენტრი ამხა-
ნაგ სტალინის შეთაურობით.

24 ოქტომბერს დამით ლენინი მივიდა
სმოლნში და სათავეში ჩაუდგა შეიარალე-
ბულ აჯანყებას. 25 ოქტომბერს (ახალი
სტილით 7 ნოემბერს) წითელმა გვარდიამ
და რევოლუციურმა ჯარებმა იერიშით
იღეს მთავრობის სასახლე და დაპატიძ-
რებს დროებითი მთავრობა. „კრეისტერმა „ავ-
რორამ“ ზამთრის სასახლისაკენ მიმართუ-
ლი ზარბაზნების ქუჩილით 25 ოქტომბერს
ქვეყანას ამცირ, რომ დაწყო ახალი ერა—
ჯილი სოციალისტური რევოლუციის ერა“.
შეიარალებულმა აჯანყებამ პეტერბურგში
გაიმარჯვა.

26 იქტიობშერს ღამით სმოლნში საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობაზე ლენინმა გამოაცხადა დეკრეტი ზე ისა და მიწის შესახებ. ყრილობაზე შესდგა პირველი საბჭოთა მთავრობა—სახალხო კომისართა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ამხანაგი ლენინი.

იწყება უცხოეთის ინტერვენტებსა და კონტრარევოლუციასთან დაბამული ბრძოლის პერიოდი. 1918 წლის თებერვალში აზალგაზრდა წითელმა არმიამ გმირულად მოიგერია თავით ფეხამდე შეიარაღებული გერმანელი მტაცებლების შემოტევა, ნარვა-სა და ფურვოვათან, წითელმა არმიამ შეაქერა გერმანელთა წინსვლა პეტროგრადისა-კერ და უკუაგდო ისინი. 23 თებერვალი გახდა წითელი არმიის ზაბათების დღე.

ინტერვენტებსა და კონტრარევოლუციასთან ბრძოლების დროს ლენინი მიმართავდა პეტროგრადის მუშებს: „რევოლუციის გადატანა შეგიძლიათ მხოლოდ თევენ, — სწავას არავის“. 1919 წელს წითელმა არმიამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით დამარცხა და უკუაგდო გენერალ იულენიჩის თეთრგარდიელთა კორპუსის ორი შეტევა პეტროგრადის წინააღმდეგ.

საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობაში წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქალაქი პეტროგრადი დააჯილდოვა წითელი დროშითა და წითელი დროშის ორდენით.

პეტრიშასი—პეტროგრადი— ლენინგრადი

როდესაც ნევის შესართავთან პირველი სახლები გაშენდა, ქალაქს პეტრებურგი უწოდეს და ამ სახელს ატარებდა იგი 211 წლის განმავლობაში. 1914 წელს კი ქალაქს პეტროგრადი უწოდეს.


1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. ეს იყო ყველაზე მძიმე დანაკლისი მთელი კაცობრიობისათვის. როდესაც ლენინს გარდაცვალების ცნობამ პეტროგრადს მიაღწია, ქუჩები ხალხით იისო. ფაბრიკებსა და ქარხნებში ჩატარდა სამელოდიარო მიტინგები. ერთსულოვანი იყო პეტროგრადის შშრომელების თხოვნა საბჭოთა მთავრობისადმი, რათა მათი ქალაქისათვის მიენიჭებიათ რევოლუციის დიდი ბელაზის ლენინის სახელი. საბჭოთა მთავრობამ დააქმაყოფილა მათი თხოვნა და 1924 წლის 26 იანვრით ქალაქ პეტროგრადს უწოდეს ლენინის სახელი—ლენინგრადი. ყრილობის დაზგენილებაში ნათქვამი იყო:

„და, დღეიდან პროლეტარიული რევოლუციის უდიდესი ცენტრი დაკავშირებული იყოს პროლეტარიატის უდიდესი შედარձის კლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელთან“.

სრულ 4 საათზე, როდესაც მოსკოვში წითელ მოედანზე ხდებოდა ლენინის დაკრძალვა, ლენინგრადში მარსს მოედაზე აინთო არაქვეულებრივი კოცონი. 54 კოცონის (ლენინის წლოვანების მიხედვით) აღი ზეცას სწოდებოდა. ასეთი არაქვეულებრივი და შესანიშნავი სალუტით ემშვიდობებოდნენ პეტროგრადის მუშები გენიალურ მაშავლებელსა და მეგობარს — ლენინს.

„თეთრი ლაშების ჩალაპი“

ლენინგრადი მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. მას პოეტები ხშირად



ლენინგრადი. — წითელი ფრმინა თაღი

უწოდებენ „ჩრდილოეთის პალმირას“, — „პეტრიანლს“, „თეთრი ლამერის ქალაქს“. მის მშენებლობასა და გამშვენებაში მონაშილეობას იღებდნენ რუსეთისა და ევროპის გამოჩენილი ოსტატები ზახაროვი და ვორონინი, რასტრელი, როსი და გვარენგი.

ლენინგრადი საბჭოთა კავშირის უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამრეწველო ცენტრია. იგი არის ჩვენი ქვეყნის გემთშენებლობის ძირითადი ცენტრი. მრეწველობის დარგებიდან ლენინგრადში განსაკუთრებით აღსანიშნავია მანქანათშენებლობა. აქ მზადდება ბლუმინგები და ტრაქტორები, ზუსტი ხელსაწყო უა ელექტროტუბინები. აქ, ლენინგრადში პირველად მიღებს მაგისტრი, ალუმინი, ხელვინური კაუჩუკი. მრეწველობის სხვა დარგებიდან

აღსანიშნავია ქიმიური, საფეიქრო, მსუბუქი და ელექტრომრეწველობა.

1918 წლის 12 მარტს საბჭოთა მთავრობა მოსკოვს გადავიდა, მაგრამ ლენინგრადი მაიც დარჩა რუსეთის პირველ ქალაქად მოსკოვის შემდეგ.

ლენინგრადში არის საბჭოთა კავშირის ულიდესი სატრანსპორტო კვანძები. აქ თავს იყრის 9 სარკინიგზო ხაზი, ბალტიის ზღვით იგი უკავშირდება დასავლეთ ევროპას, მარიის სასტემით კი ვოლგას. კოლგა-მოსკოვის არხის გათხრის შემდეგ რეგულარულად სწარმოებს სამდინარო მიმოსვლა მოსკოვსა და ლენინგრადს შორის. სტალინის სახელობის თეთრი ზღვა—ბალტიის არხი, ლენინგრადს აკავშირებს თეთრ ზღვასთან.

მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ლენინგრადი მეორე ქალაქია საბჭითა კავშირში მოსკოვის შემდეგ, მოსფლიოში კი მეექვსე (ნიუ-იორქი, ლონდონი, მოსკოვი, ბერლინი, ჩიკაგო), სჭარბობს რა ისეთ დიდ ქალაქებს, როგორებიც არის პარიზი, ვენა, ტიონი, ბუენოს-აირესი და სხვ.

ლენინგრადში არის 29 უმაღლესი სასწავლებელი, 120 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, მსოფლიოში ცნობილი ცენტრალური სეისმოლოგიური სადგური, ზომაწონის მთავარი პალატა, რეკოლუციის მუზეუმი და სხვ.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე კიდევ უფრო გაიზარდა და გალამაზდა ქალაქი. მართალი იყო სერგეი მირონის-ძე ქირვი, როდესაც საკავშირო კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე ამბობდა, რომ „ლენინგრადში ძველი დარჩა მხოლოდ პეტერბურგის მუშების შესანიშნავი რევოლუციური ტრადიციები, დანარჩენი ყველაფერი ახალია“.

უკვდავების დიდებით მოსილი ქალაქი

სამამულო ომის პერიოდში, როდესაც გერმანელი ავაზაკები საბჭოთა კავშირს თავს დაესხნენ, მთელი ჩენი ქვეყანა შეიარაღებულ ბანაკად გადაიქცა, ლენინგრადი კი მისა მოწინავე საგუშაგო იყო და მტრისათვის მიუვალ სიძაგრედ იქცა.

ლენინგრადის შერომელებმა ბრწყინვალედ დაიცვეს და განვითარეს ლენინგრადის მუშათა გმირული ბრძოლის ისტორიუ-

ლი ტრადიციები. სახალხო ლაშქარი წითელ არმისათან ერთად გმირულად იცავდა მეტად შემდეგ ლაშქარის საკმარისა აღინიშნის, რომ უკავშირდები წითელ არმის მარტი ლენინგრადის მისა-დგომებზე ბრძოლა უხდებოლა გერმანელთა 48 დივიზიის წინააღმდეგ.

1943 წლის დასაწყისში სამამულო ომის ფრონტზე მდგრადარეობა წითელი არმიის სასარგებლოდ შეიცვალა. დაიწყო გრანდიოზული შეტევითი ბრძოლები კავკასიასა და სტალინგრადთან, რამაც ჟილი გავლენა იქნია ლენინგრადის ურობრზეც. 1943 წლის იანვარში, მოიკრიბა რა ძალები, გმირულმა ლენინგრადმა 7 დღის შეუპივერი ბრძოლებით გაარღვია ჰიტლერული არმიის ბლოკადა. 1944 წლის იანვარში კი ლენინგრადი მთელი თავისი ძლევამოსილებით აღიმართა მტრის შესამუსრავად და შეტევაზე გადავიდა. 324 ქვემებმა 24-ჯერ დაიქცა და საღუტით ამცნ მთელ ქვეყანას წითელი არმიის ისტორიული გამარჯვება ლენინგრადთან. ქალაქმა გაიმარჯვა და გაძინატა ბლოკადის კოშმარი.

ლენინგრადელების მთელი გმირული და სახელმოვანი ბრძოლა მტრის ბლოკადის წინააღმდეგ დაკავშირებულად ამხანაგ სტალინის სახელთან. ამხანაგი სტალინი იყო შესაძლებულებური ბლოკადის გეგმის გარღვევისა და 1944 წლის იანვარში ბლოკადისაგან ქალაქის საბოლოო განთავისუფლების გეგმის შემოქმედი და მისი განხორციელების ორგანიზატორი.

ლენინგრადი. მოწიდებით იმეორებს ამ საყვარელ სახელს მთელი საბჭოთა ხალხი. ლეიინის გმირო ქალაქო! შენი გამარჯვების სსოვნა სამუდამოდ აღიბეჭდა საბჭოთა ადამიანების გულში, შენი გმირების სსოვნა დარჩება სიმღერებსა და ლეგნდებში, მაგრამ ყველაზე ღრმა, ყველაზე მართალი და მრისხან ლეგენდა თვითონ შენა ხარ! შენ, მძლავრი ქალაქო, ხალხური გენის მძლავრი სულით გამჭვალულო, შენ, რომელმაც აღზარდე ბოლშევიცების არწივისებური მოდგმა და გამოსჭედე ულმობელ მტერზე გამარჯვება.

შენ იბრძოდი და გაიმარჯვე. დიდება შენს მამაც მეომრების, მთელს მშრომელებს! დიდება უკვდავო ქალაქო-მძლეველო!





ჯ ე კ ლ ო ნ დ ო ნ ი

ჯეკ ლონდონი ცნობილი ამერიკელი მწერლია. იგი დაიბადა 1876 წელს გალატა-ტებული ფერმერის ოჯახში. ბავშვობიდანვე მასი ცხოვრება მძიმე იყო, მრავალი გაჭირ-



ვება და ათასგვარი ვაი-ვაგლახი გადაუტანია მას. სკოლაში რომ სწავლობდა, გაქვეთილების შემდეგ გაზეთებს ჰყიდდა ქალაქ სან-ფრანცისკოს ქუჩებში ლუქმაპურის საშონელად. 14 წლისა ქალაქ ოკლენდის ჯირ საკონსურეო ქარხანაში; შემდეგ ჯუტის *) ფარიკაში დადგა მუშაუ. ღლე-ღამეში 18 საათს მუშაობდა და საშინლად იღლებოდა. „ოკლენდში მე არ ვიცი არც ერთ ცხენი, რომელსაც დღეში ამდენი საათი ემუშაოს“, — წერდა შემდეგში ჯეკ ლონდონი, როდესაც თავისი ბავშვობის ამ პერიოდს იგონებდა. ფაბრიკა რომ მიატოვა, მეთევზეთა ხომალიზე მეზოვაურად დაიწყო მუშაობა, შემდეგ ხეტიალს მიჰყო ხელი. ამ ხეტიალში თავი ამოჰყო ამერიკის შორეულ ჩრდილოეთში, კლონდაიქში, საითაც იმ ღროს პერიელი, უმუშევრები და შშიერ-ლატრაკი თავდაგეწყებით მიეშურებოდნენ იქროს საძიებლად. აქ შიმშილით კინალამ მოკვდა, უსრავანდი დამართა და ძლივდლივობით დაბრუნდა სამშობლოში.

მაგრამ მას ცხოვრების უშუალოდ გაცნობის იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ერთ ადგილს ვერ ძვრინებდა. ხან ფესით, ხან სატვირთო ვაგონიბის ბუფერებით შემოიარა მთელი თავისი მშობლიური ქვეშის ყოველი კუთხე. თავისი თვალით ხედარდა მუშებს ქალაქის მიყრუებულ გარეუნებში, დიდ გზებზე ხვდებოდა მაწანწალებ-

სა და მათხოვრებს. ზღვით ყოფილა იათონის ნაპირებთანაც, გაუცლია ბერიოვის სრუტეში. ას უშულოდ, პირისპირ ეცობდა იგი მრავალფეროვან ცხოვრებას.

ამას ერთოდა უსაზღვრო სიყვარული წიგნებისადმი. რა გაჭირვებაშიც უნდა ყოფილიყო, წიგნებს მანც არასოდეს არ ივიწყებდა. კითხულობდა, იძნდა ცოლნას, ღრმად სწვდებოდა აღამიანის ცხოვრების უოველ.

და აი ზედამე გამოვიდა ჯეკ ლონდონის შესახიშნავი წიგნები — „უფსარულის აღამიანები“, „როდესაც ღმერთები იცინაან“, „რკინის ქუსლი“, „სიცოცხლის სიყვარული“, „მეამბოხე“, „თეთრი ეშვი“, „მარტინ იდენი“, „წინაპართა ძაბილზე“, „მზის შვილი“, „მეთევზეთა პატრულის თავგადასავალი“ და სხვ.

წერდა ლონდონი ინდიელებსა და ოქროს მაძიებლებზე, თოვლსა და ტაიფუნზე, ძალლებსა და მგლებზე; წერდა ნიკიერად, დიდი მხატვრული ისტატობით, თვითონ ურყყევად სწამდა, რომ ადგიანის მტკიცე ნებისყოფას შეუძლია ყველაურის დაძლევა, გადალახვა ყოველივეს; ამ რწმენით აღსავსენი არიან მასი გმირები, ამ რწმენას უნერგავს იგი თავს მკითხველსაც.

ჯეკ ლონდონის მოთხრობებმა საკვეყნოდ გაითქვეს სახელი. მათ შორის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს განსაკუთრებით მოსწონდა მოთხრობა „სიცოცხლის სიყვარული“.

ვ. ი. ლენინი მძიმე ავად იყო, როდესაც ნადევდა კონსტანტინეს-ასულმა კრუსკაიამ წაუკითხა მას ეს მოთხრობა. „მის გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე, — სწერს ნ. კრუსკაია, — სალამოს ვუკითხავდი ჯერ ლონდონის მოთხრობას „სიცოცხლის სიყვარულს“. — იგი ახლაც ძევს შაგილაზე მის ოთახში. მეტად ძლიერი რამ არის. თოვლიანი უდაბნოთ, სადაც აღამიანს ფეხი არ დაუდგამს, დიდი მდინარის ნავსადგურისაკენ მილასლასებს შიმშილით სიკვდილს პირის მისული, ავადმყოფი აღამიანი. ლონე ეცლება, კი არ მიღის, არამედ მიბობლავს, გვერდით კი მიძვრება აგრეთვე შიმშილით ილაჯგაწყვეტილი მგელი, მათ შორის ბრძოლაა, აღამიანი იმარჯვებს, — ცოცხალ-მკვდარი, ხანევრადშეშლილი მიაღწევს მიზნამდე. ილიის ეს მოთხრობა მეტისმეტად მოეწონა. მეორე დღეს მთხოვა წამერითხა ლონდონის სხვა მოთხრობები. მაგრამ ჯეკ ლონდონს ძლიერ ნაწარმოებებთან ერთად უაღრესად სუსტი ნაწერებიც იქვე. შემდეგი მოთხრობა ურულიად სხვა ტიპის გამოღვა — ბურუუაზიუ-

*) მცენარე სამხრეთ აზიასა და აფრიკაში. მისი ბოჭივებისაგან ამზადებენ ტილოს, საავეჯო ქსოვილს და სხვ.



ლო მორალით გაჟუღენთილი: რომელიღაც კა-
პიტანმა აღუთქა პურით დატვირთული ხო-
მალის პატრონს, ხელსაყრელად გაასაღებ-
და პურს; იგი თავის სიცოცხლეს სწირავს,
ოლობდა დაპირება შეასრულოს. ილიჩმა გაი-
ცინა და ხელი ჩაიქნა“.

მუშა ბავშვის დუხშირი ცხოვრება კაპი-
ტალისტურ აქერივაში ჯეკ ლონდონს აღწე-
რილი აქვს მოთხოვობაში „მეამბოხე“. პატა-
რა ჯონის მშობლები მთელი თავისი სი-
ცოცხლე ფაბრიკაში მუშაობენ. ჯონი ფაბ-
რიები უშობრა დედამიშმა, და, 7 წლის რომ
შესრულდა, ისიც ფაბრიკის მუშა გახდა. ამ
დროიდან დაწყებული, იგი იშვიათად თუ
დაინახავდა მზის სინათლეს. დილით, სამუ-
შაობები გასვლისას, როდესაც ფაბრიკის კა-
რებს მიაღწევდა, გაიხედავდა ხოლმე აღმო-
სავლეთისაკენ. ცისტატნობზე მკრთალი სი-
ნათლე ჩნდებოდა. მხოლოდ მაში ხედავდა
ჯონი დღეს. ეს იყო და ეს. იმ წამსვე, მუ-
შების ჯგუფში შერეოლი, ფაბრიკის კარგმ-
ში შედიოდა. აქ მას თავისი ადგილი პქონ-
ია მანქენებთან, რომლებიც ისე ცწრათად
მოძრაობდნენ, რომ ჯონის ერთი წუთი თა-
ვისუფალი დროც არ გააჩნდა. იგი მიეჩია
ამ მუშაობის და რაც უფრო ჩქარა და ჩქარა
ტრალებდნენ მანქანები, მით უფრო ნელა
და ნელა მუშაობდა ჯონის გონება. იგი მან-
ქანის განუყრელ ნაწილად გადაიქცა, იგი
მექანიკურად მუშაობდა. ამიტომ იყო, რომ
მას ზოგჯერ ეჩვენებოდა, თითქოს მძა-
ცხოვრება წააგავს დაუსრულებლად გრძელ
სიზმარს, როდესაც იგი შეუსვენებლად ა-
თავს ძაფს, განწყვეტლივ პქრავს მარყუ-
ჯებს. ამას მოჰყვა საშინელი ნერვული დაა-
ვადება. დამით ძილში მისი თითები განაგრ-
ძობდა მოძრაობას; დღისითაც ერთი წუთი
მოსვენება არა პქონდა. მთელ დღეს წელში

მოხრილი იყო და მისი კუნთები გამუდმებად უდი-
ცახცახებდნენ. ავადმყოფობის გამო დამო-
კირგა სამუშაო, მაგრამ ცოტა რომ მომ-
ჯობინდა, სამუშაოს აღარ დაუბრუნდა.
მთელი დღეები იჯდა აიგანზე და რაღაცის
ანგარიშობდა. და, ბოლოს, გამოიანგარიშა,
რომ ფაბრიკაში მუშაობის დროს იგი დღეში
36 ათას მოძრაობას აქეთებდა, რაც თვეში
მილიონზე მეტ მოძრაობას შეადგენს, წელი-
წადში კი დაახლოებით 13 მილიონს. „მე
არსოდეს მოსვენება არ მქონია,— ამბობს
იგი. გამუდმებულ მოძრაობაში ვიყავი. ას-
თო ცხოვრებით არ შეიძლება ბედნიერი
იყოს ადამიანი. ამიტომ ამოერიდან მე აღა-
რაფერს არ გავაეთებ. სულ ვიჯღომები და
ვიჯღომები, სულ დავისვენებ და დავისვე-
ნებ, და შემდეგ კიდევ და კიდევ დავისვე-
ნებ“. ჯონის მთელი არსება პროტესტს აც-
ხადებს მუშაობის იმ აუტანელ პირობების
მიმართ, რომლებიც ფესვებგადგმულია, დამ-
კვიდრებულია კაპიტალისტურ ფაბრიკა-
ებრნებში. იგი სტოვებს ყველაფერს, მიღმი-
ოვახიდანაც და გადაიქცევა მაწანწალად.

ასეთი პროტესტი კაპიტალისტური ჩაგვ-
რის წინააღმდეგ, როგორც ეხედავთ, პასოუ-
რია, უმოქმედოა. ჯონის არ სურს კვლავ
დაიჩაგრის, მაგრამ ის არ ჩაგვრის. წინააღმ-
დეგ კი არ იძრდების, არამედ გაურბის სინამ-
დვილეს და მაწანწალად ყოფნის არჩევს.


ასეთა ჯეკ ლონდონის გმირების დამო-
კიდბულება კაპიტალისტური უსამართლო-
ბისადმი.

გარდაიცვალა ჯეკ ლონდონი ჯერ კიდუნ-
ახალგაზრდა, 1916 წელს. ვერ მოესწრო იგი
დაეწერა განზრახული „სოციალისტური პფ-
ტობითოვრაფია“.

ქადაგის განვითარების

სასულის

სასულის



(ორმა შეზღვაურმა გემი მიატოვა და
ოქროს საძებნებულად წავიდა. შემდეგ მათ
გზა ვეღარ გააგნეს გემისაკენ. ერთი მათ
განი,—ბილი, იღუპება).

ისინი წვალებით შიჩანჩალებდნენ ქვე-
მოთ, ზღვის ნაპირისაკენ. წინამ უცებ ქვას
ფეხი წამოჰქორა და წაიბორიდია. არაქათგა-
მოცლილნი და უძლურნი იყვნენ, მრავალ-
ტანჯული აზამიანის მომზებნი გამომეტ-
ყველება ჰქონდათ. მხრებზე მოკიდებულ
საბანში გავხეულ მძიმე ტვირთის ქვეშ მო-
ზნექილნი, თვალებით მიწას ჩასცეროდ-
ნენ. ორივეს თოფი ჰქონდა თან.

— ნეტა იმ შენახული ვაზნებიდან თრი-
ოლე მაინც მოვცა ახლა, — სთქვა უკა-
ნაში. იგი უსიცოცხლოდ ლაპარაკობდა და
მშრალი, არაფრისმეტყველი ხმა ჰქონდა. პირველმა, რომელიც რძესავით აქაფებულ
მდინარეში ძლივს მიათრევდა ფეხებს, არა-
ფრი უბასუხა.

მეორე კვალდაკვალ მისდევდა მას. წყა-
ლი ყინულივით ცივი იყო, ისეთი ცივი,
რომ წვივებს სტეხდა და ფეხები გაშეშე-
ბული ჰქონდათ. ზოგან ტალღა მუხლებზე
ეხეოდებოდათ და მაშინ ისინი ფეხის დასა-
ყრდნენის ძიებაში ბარბაცებდნენ. უკანას
კეცჭე ფეხი გაუსრიალდა, წაიბორიდია და

თავი ძლივს შეიმაგრა, თან კი ტკივილისა-
გან მჭარე კვნესა ღომოხდა. დასუსტებული
და თავბრუდასხმული სჩანდა; ფეხი რომ
გაუსრიალდა, ჰაერში ულონოდ გაიშვარა
ხელი თითქოს დასაყრდენს ეძებო. რო-
გორც იყო ადგილზე მომაგრდა, ისევ გა-
დასდგა წინ ნაბიჯი, მაგრამ კვლავ აუცურ-
და ფეხი და კინალმ დავარდა. შესდგა და
წინმიმავალს დაუწყო ცქერა. — თითქმის
მთელი წუთი იდგა ასე, თითქოს საკუთარ
თავთან ბჟობსო, მერე დაუძახა:

* — ბილ, გამიგონე, მე ფეხი ვიღრძე.

ბილი წყალში წაბარბაცდა, უკან კი არ
მოუხედია. უკანა დიდხანს უცქერდა მას
და თუმცა სახე არაფრის გამომეტყველი
ჰქონდა, თვალებმა დამფრთხალი ნადირის
იერი მიიღეს.

წინა ბორძისით შესდგა მღინარის მეორე
ნაპირზე და სიარული ისე განაგრძო, რომ
ერთხელაც არ მოუხედავს.

მღინარეში დარჩენილი კვლავ მას შეჰ-
ყურებდა. გამშრალი ტუჩები ენით დაისვე-
ლა, ძალა მოკრიბა და დაიძახა;

— ბილ!

ეს იყო ძლიერი აზამიანის განწირული

*) იბეჭდება შემოკლებით



გოდება, მაგრამ პილს მაინც არ მოუხე-
დავს. დარჩენილი შეკყურებდა თავსს ამხა-
ნაგს, რომელმაც იგი ასე გაიმეტა და მია-
ტოვა და რომელიც ახლა მერყევი ნაძიჯით
შიბარბაცებდა შორს, პორიზონტზე გადაჭი-
მულ დაბალი მთაგრეხილისააენ. ასე უცტი-
რა ფიდხანს, ვიღრე ბილი თვალს მიეფა-
რებოდა. მერე ნელა შიმოვალო თვალი
ქვეყნის იმ პატარა წრეს, რომელიც ის-ის
იყო ბილმა მის საკუთრებად დასტოვა.

პორიზონტზე მზე მკრთალად ბჟუჟავდა. ჩამოწოლილი ბურუსსს გამო თითქმის
ბნელოდა. მან ტანის სიმძიმე ცალ ფეხზე
გადაიტანა და დიდის ვაიგაგლახით ჯიბიდან
საათი ამოილო. ოთხი საათი იყო, და რაკი
ივლისის მიწურული ან აგვასტოს პირველი
დღეები იქნებოდა (მას უკვე აერია დღეე-
ბის სათვალავი) მზის სიცხოველის მიხედ-
ვით მიხვდა, რომ ჩრდილო-დასავლეთ მხა-
რეს უნდა ყოფილიყო.

კელავ მოავლო თვალი ქვეყნის იმ პა-
ტაწინა წრეს, რომელსაც მისი მხედველობა
სწვდებოდა. ვერაფერი სანუეშო სანახო-
ბა! ყოველის მხრით ცის ჩბილი ხაზი! არც
ხეები, არც ბურქები და ბალახიც კი არა.
შეოლოდ ვერა, შემაძრწუნებელი სიცა-
ლიერე, რომლის ხილვამ თვალებში შიში
აღუგზნო.

— ბილ! — ოდნავ გასაგონად წაიჩურ-
ჩულა მან, და მერე მეორეთაც — ბილ!..

ორი დღე არაფერი ეჭამა, ხოლო ხეი-
რიანი საჭმელი ვინ იცის რამდენი ხანია არ
უნახავს. ხშირად დაიხერებოდა ხოლმე, გამ-
ხმარ ხეხოს აპერეფდა, დაღეჭვიადა და გა-
დაყლაბავდა. ხეხოს კენკრა გამხმარ მარ-
ცვალსა და წყალს შეიცავს. პირში წყალი
ჰქენება ხოლმე და ხმელი კენკრა მწარე
ტყივილებს იწვევს. იცოდა, რომ ამ კენკ-
რას არავითარი სინოვიზრე არ ჰქონდა, მა-
გრამ მაინც მოთმინებით ლეჭავდა რაოც
გამოუცნობის იმეჯით, რომელიც ჭეშმი-
ტებაზელაც უფრო ძლიერია და არც გამოც-
ლილებას უწევს ანგარიშს.

ცხრა საათზე ქვას ცერი წამოჭრა, ფრჩხილი * მოსძრა და არაქათგამოცლილი
დაერდა. რამდენიმე ხანს გაუნდრევოდ
იწვა გვერდზე. მერე ნელ-ნელა მოიძრო
ზურგიდან ჩანთა, ტკივილებისაგან ათას-
ნარად დაიხლართა და წამოჯდა. ჯერ
კიდევ არ ბნელოდა. ბინდში ხელის ცეცი-
ბით ცოტაოლენი შმრალი ხატის მოაგრიოვა
და მშუტავი ცეცხლი დაანთო. მერე
წყლიანი თუნუქს ქოთანი დაადგა ასაფუ-
ლებლად. ჩანთა გახსნა და პირველი რამ,
რაც მან გააქეთა, ეს იყო ასანთის დათვლა.
სამოცდაშეიღი დარჩენილიყო. ამ რიცხვის
სისწორეში რომ თავი კარგა დაერწმუნებოდა,

კიდევ სამჯერ დათვალა, მერე სამაზ-
უო და თვითეული ნაწილი ქაღალდში შექ-
ხვია ცალ-ცალქე. ერთი ცარიელ სათუთუ-
ნეში მოათვასა, მეორე დაფლეთილ ჭუდის
სარჩულში ჩასდო, მესამე კი პერასგში,
გულთან. ამას რომ მორჩა უცებ გამოუც-
ნობმა შიშმა შეიძყრო, ისევ გამოიღო შე-
ჯეული ასანთები და კიდევ ერთხელ და-
თვალი. ისევ სამოცდაშეიღი... ერთხანს ჩა-
ფიქრდა, არ იცოდა რა ექნა პატარა პარკა-
სათვის, რომელშიაც ოქრო ჰქონდა შენახუ-
ლი. დიდი არ იყო, თავისუფლად შეიძუ-
ბოდა ორივე ხელში დაემალა კაცს, იცოდა
რომ თხუთმეტ გირვანქას იწონიდა, რო-
გორც დანარჩენი პარკები, მაგრამ ახლა
ამან თავი მოაბეჭრა ძას. გვერდზე გადაა-
გორა, რამდენიმე ხანს ჩუმად შეკყურებდა,
მერე დამფრთხალი თვალებით მიიხედ-მოი-
ხედა და თოთქოს შეეშინდა სიცალიერებ
არ წამართვასო — ხელში ჩაბლუჯა, წამო-
ლება, წაბარბაცია, ჩანთა აიღო და ოქროს
პარკი უკანვე ჩაგდო.

ძალიან დაიღალა. რაც დრო გადიოდა
უძლიერდებოდა დასვენების სურვილი.
უნდოდა დაწოლილიყო და ეძინა, მშვიდად
ეძინა. მაგრამ რაღაც ძალა წინ ეწეოდა
ძას. და ეს იყო არა ნაპირთან მიახლოვების
სურვილი, არამედ შიშმილი. დაიწყო გუ-
ბებში ცქერა იქნებ ბაყაყი ან თევზი შევ-
ნიშნოო. მერე, საღამოზე, როცა უკვე ბინ-
დი ჩამოწვა, მან პატარა გუბეში საღამურა
თევზი შენიშნა. მუხლებშე დაყრდნობით
ფრთხილად შეაპარა ხელი წყალში, მაგრამ
თევზი გაუსხლტა. მეორე ხელიც ჩაპყო
მაგრამ წყალი ამღვრია, თევზი კი ვერ
დაიჭირა. მღელვარებისაგან წონასწორობა
დაჭკარება და გუბეში ჩაგარდა. წყალი ისე
აიმოვრა რომ უკვე ფიქრიც ზედმეტი იყო
თევზის დაჭერისა. ცოტა ხანს შეისვენა და
როცა წყალი დაიწმინდა ძვლაც განაგრძო
ნაღირობა, ვიდრე ისევ არ აიმღვრა წყა-
ლი. მეტოს მოთმენა აღარ შეიძლებოდა,
თუნუქის ქოთანი ამოიღო და წყლის დაწ-
რეტა დაიწყო. პირველად ისეთი სისწრა-
ფითა და მღელვარებით შეუდგა ამ საქმეს;
რომ ამოღებული წყალი იძვე ნაპირზე
ესხმებოდა და უკანვე, გუბეში ბრუნვებო-
და. ნახევარი საათის შემდეგ გუბე ამოძ-
რჩალი იყო, მაგრამ თევზები აღარ სჩანდ-
ნენ. მან შენიშნა რომ პატარა ხერელით
ეს გუბე, მეორე, უფრო დიდ გუბეს უჭავ-
შირუნებოდა; იმას კი ორ დღეშიაც ვერ
დასწრეტავდა. ეჭ, აღრე რომ შეენიშნა ის
ხვრელი! მაშინ შეიძლებოდა ქვის დაცობა
და ახლა თევზი ხელთ ექნებოდა!..

ასეთი იყო მისი ფიქრები, როცა გუბი-



სათვის. თვალები ჩაშავებული ფრთხოები
ცოცხლო ჰქონდა, თავი უიმედოდ და უღლ-
ძოდ დაგხარა და თვალებით მზის სხივებს
შეპყურებდა. ეტყობოლა სწორი იყო. წმი-



რაღ ახველებდა და მძიმედ ქშინავდა.

— აი, საბოლოოდ ცხადიც დავინახე —
გაიფიქრა მან და თავი მეორეს მოა-
ბრუნა, სადაც აქამდე, მხოლოდ მოჩვენე-
ბებს ხელავდა. მაგრამ ზღვა კვლავ ბრწყი-
ნავდა მზის სხივებზე და ხომალდიც კვლავ
იღგა გადაშლილი ზღვის სილრეში ზურ-
ეციც!

იგი სრულ სიმშვიდესა და გონების სიმ-
რთელეს გრძნობდა. არა სტკიოდა რა, თუმ-
ცა არაქათგამოცლილი იყო. არცა შიოდა:
საჭმელზე ფიქრიც კი არასასიამოვნო იყო
და თუ რამეს აკეთებდა მხოლოდ და მხო-
ლოდ გონების ბრძანებით. მან შარვლის
ტოტი მოჭრა მუხლს ქვემოდ და ნაირევი
ფეხი შეიხვია. როგორლაც თუნუქის ქოთა-
ნი თან აღმოაჩნდა. საჭირო იყო ცოტაოდე-
ნი ცხელი წყლის დალევა, ვიდრე დააჯგუ-
ბოდა შემაძრწუნებელი სიგრძის გზას —
გზას ხომალდისაკენ. დამბლადაცემულივით
ნელა მოძრაობდა. როცა ხმელი ხავსის
შეგროვება სცადა აღმოჩნდა, რომ წამოდ-
გომა აღარ შეეძლო. მუხლებსა და ხელებს
დაეყრინო და ფოფხევით სწეულ მგელს
ჩაუარა, რომელიც ამაოდ შეეცადა გვერდ-
ზე მიმღვარიყო, თან კი სიცხით ჭაშაშრუ-
ლი ენით ტუჩების ლოკვა მოინდომა.

ცხელმა წყალმა ძალა შეკმატა და ფეხზე
წამოდგომა შეაძლებინა. წამდაუწუმ შელ-
გებოდა და შეისვენებდა ხოლმე. ნაბიჯი
სუსტი კა მერყევი ჰქონდა, როგორც
მგლის ნაბიჯი, რომელიც მას პალდაკვალ
მიჰყვებოდა. ლამით, როცა მოელვარე ზღვა
სიბნელემ შთანთქა, მან იგრძხო, რომ ოთხ
მილზე მეტით იყო დაშორებული ნაპირს.
მაელი ლამის განმალობაში ესმოდა სწეუ-
ლი მგლის ჩველა. რამდენჯერმე ირმის ყვი-
რილიც გაიგონა.

დილით თვალის გახელისთანავე შენიშვა,
რომ მხეცი მას შეპყურებდა შშიერი თვა-

რან ამოვიდა და სცელ ნაპირზე ჩამოჯდა.
უცებ ტირილი აუგარდა, მერე ხმამალლა
დაიყვირა ამ ულმობელ უდაბნოში, რომე-
ლიც ოთხის მხრივ ჩეინის სალტესვეით ჰე-
მორტყმოდა. რამდენიმე ხნის შემცირე
კვლავ ატირდა და ქვითინისაგან კანგალი
აუგარდა.

შუადლისას ლიდ გუბეში ორი სალაშუ-
რა თევზი შენიშვნა. ანლა უკვე აღარ განუ-
ცდია ის მღელვარება, რაც პირველი უანა-
ნეისას მოუკიდა. იგი ცივად შეპყურებდა
მათ და გადასწყვიტა თუნუქის ქოთათ
ლაგვირა. თევზები ნეკის ოდენა თუ იქნა-
ბოდნენ, მაგრამ მწვავე შიმშილს უკვე
აღარც გრძნობდა იგი. მუცელი შიმშილ-
საგან კი აღარ ეწვოდა, არამედ თანდათან
უფრო ყრუდ სტკიოდა. მან ნედლად და-
ლეჭა თევზი და ავადმყოფურის გულმოლები-
ნებით გადაყლია. ჭამა მისთვის უკვე კმა-
ყოფილების მომგვრელი აღარ იყო, გონე-
ბა უკარისახებდა საჭირო იყო ეჭამა.

ბურუსიანი დღე გათენდა. ბილის კვალს
იგი უკვე აღარ ეძებდა, ეს აღარ იყო მის-
თვის მხიშვერელოვანი. შიმშილი ეწეოდა
მას წინ, სადლაც... მაგრამ მაინც უნდოდა
გაეგო ბილსაც თუ აებნა გზა. შუადლისას
აუტანელი შეიქნა ჩანთის სიმძმე. ოქრო
ამოილო, ორად გაპყო, ერთი ნახევა-
რი შეინახა და მეორე კი უზრუნველად
დაცყარა მიწაზე. ნაშუადლექს მეორე ნახე-
ვარიც გალაპყრა და თან მხოლოდ საბნის
ნახევარი, თუნუქის ქოთანი და თოფი დაი-
ტოვა.

მშვიდად და მტკიცელ გააყოლა თვალი
მდრანარის დინებს და შენიშვნა, რომ შორს,
ჰორიზონტის იქით, ის ლურჯ ზღვას ერთ-
ვოდა. მაგრამ ამ აღმოჩენას არ შეუცვლია
იგი, ისეთივე მშვიდი და ცივი დარჩა. „საო-
ცარია—გაითიქრა. მან ცოტა ხნის შემ-
დევ—მოჩვენებაა თუ სინამდვილე? არა,
ეს მოჩვენებაა, მისი მოშლილი გონების
ნაყოფი“. ამაში კიდევ უფრო დაბეჯითე-
ბით დარწმუნდა, როცა შენიშვნა შუა ზღვა-
ზი მდგარი ხომალდი. რამდენიმე ხანს თვა-
ლები დახუჭა და კვლავ გააღო. საკირვე-
ლია, მოჩვენება კვლავ გრძელდებოდა!

ყრუ სუნთქვისა და ხველის ხმა მოესმა. სისუსტით დაოსილი, იგი ნელა გადაბრუნ-
და მეორე გვერდზე. პირველად ვერაფერი
გააჩინა. ცოტა ხანს დააყურა და კვლავ
მოესმა იგივე ყრუ სუნთქვა და სუსტი ხვე-
ლა. ახლა კი, ოციოდე ნაბიჯის მოშორე-
ბით ორ დოდ ქვას შუა მგლის რუხი თავი
დაინახა. სიც შენიშვნა, რომ ამ მგლის ისე
მახვილად მომართულ ყურები არ ჰქონია,
როგორც წინათ შეუნიშვნას სხვა მგლები-

ლებით. ის უკანა ფეხებზე ჩაცუცემებულიყო და ნაცემი ძალივით კუდი ფეხებს შეუა ძოგიარა. სიცივისაგან კანკალებზა ის, და როდესაც კაცმა უაზროდ რამდენიმე სიტყვა წაიბუტბუტა, მგელმა უღლონდ დაიყველა.

ინდიური ზაფხული იდგა. კაცი პარბაცით განაგრძობდა ხომალდისაკენ გზას, მგელი ხეელებითა და კანკალით მისდევდა მას. გვზევრი უცებ ადამიანის ნაფეხურებს წააწყდა. მიხვდა, რომ ეს ბილის კვალი იქნებოდა. ეტყობოდა მას ფოფხვით ევლო ეს გზა. ბილის გახსენებას არაფერი ცვლილება გამოუწვევა მასში, ცივად გაპყვა ამ ნაცვალევს. კვალის დასასრულსაც მიაღა: ერთ ადგილს ადამიანის ახლად გამოხრული ძვლები ეყარა, ცოტა მოშორებით კი სველ ხავსზე მგლის ნაფეხურები. იქვე ოქროს პატარა პარკი შენიშვნა სწორედ ისეთი, როგორიც მან უკვე თავიდან მოიშორა. ზოდის წვალებით აიღო პარკი, თუმცა ეს საშინელი სიმძიმე იყო მისთვის. ბილს ბოლომდე შეუნახავს თავისი ოქრო! ჰა! ჰა! მასი სიცილი ყვავის ჩხავილევით ხრინ-წიანი, და შემაძრწუნებელი იყო.

უკან მოიხედა და დაინახა როგორის დაწაფებით ლოფავდა მგელი მისი მუხლიდან გადმონადენ სისხლის კვალს. მას მთელი საშინელებით დაეხატა თვალშინ თავისი ბოლო... თუ... მგელს დააწერებდა სიკვდილს.

დაიწყო ყველაზე საშინელი ტრაგედია, რაც კი ოდესმე გათამაშებულა—არსებობისათვის ბრძოლის ტრაგედია: სნეული კაცი ფოფხვით მიცოცავს, უკან სნეული მგელი მიათრევს თავის დაგრეულ სნეულს და თვითეული მათგანი მეორის სიყვლილს შედის... ერთხელ ყურთან მგლის ჭლანჭიც იგრძნო და გაიღვიძა. მგელი კოჭლობით უკან გადაიწია. სასაცილო სანახაობა იყო, შაგრამ მას სიცილის თავი არ ჰქონდა. არც შეშინებია...

უმოძრაოდ იწვა ზურგზე და გრძნობდა როგორ უფრო და უფრო ახლოს მოიწევდა მგელი. მისი მძიმე სუნთქვაც ესმოდა. მგელი უახლოვდება—კაცი ადგილიდან არ იძვრის. დაშამრული, მშრალი ენა იგრძნო კისერზე. მან ხელი გაიშვირა, კლანჭებივით გაშეშებული თითები ჰაერს ჩაებლაუჭა. სისწრავე და სმტკიცე ძალას მოიხოვს, მას კი ძალა არ ჰქონდა. შემაძრწუნებელი იყო მგლის მოთმინება, ხოლო კაცის მოთმინება არა ნაკლებ საშინელი. ნახევარი ღლე ასე უმოძრაოდ იწვა, ცვილობდა როგორმე გრძნობა არ დაეკარგა და შეტყვას ელოდა. ხანდახან ოჯნების ზოვა გადაიშლებოდა მის გონებაში და გრძელ სიზმრებს

წელსებდა. მაგრამ განუწყვეტლივ, სიზმარ-შიაც და ცხალშიაც, მას ესმოდა მგლი მიშრული სუნთქვა და დაშაშრული სუნთქვა შეხებას გრძნობდა.

უკვე აღარ ესმის მას ეს სუნთქვა. გრძელი სიზმრისაგან გამოიფიზლდა. მგელი ხელებს უღლევას. კაცი ელის ნამდვილი შეტყვას დაწყებას. მგლის კლანჭები ჯერ სუსტად უხებიან. მერე თანდათან ეჭდობიან ხორცში. მგელმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და სცადა კბილი ჩაერჭო თავისი მსვერპლისათვის, რომელსაც რამდენი ხანია მოთმინებით უცდის. მაგრამ კაციც დადი ხანია მოთმინებით იცდის. მისი გაშეშებული ხელი მგლის ყბებს მოეჭიდა, ნელა მეორე ხელიც დაიკლავნა ჰაერში ზა ისიც მოეჭიდა მხეცის ყბას. ხუთიოდე წუთიც და ადამიანის მთელი სიმძიმე მგელს დააწვა. ხელებში საკმაო ძალა არ ჰქონდა, რომ



წაეხრის, აატოო კბილებით ჩაეჭდო კისერს. ბირი ბეწვებით გამოევსო. ნახევარი საათის შემდეგ მან ყელში თბილი, ჩხრიალა ნაკადული იგრძნო. მერე გვერდზე გადაბრუნდა და დაიძინა.

ვეშაპებზე მონადირე ეგმ „ბეღფორდზე“ სამეცნიერო ექსპედიცია იყო. გემის ბაქანიდან ხალხმა რაღაც უცნაური არსება შენიშვნა, რომელიც ცოცვით ზოვას უახლოვ-ჟებოდა. შორიდან მეცნიერებმა ვერ გააჩის რა არსება იყო, და როცა ნავით ნაპირს მიაღწენ მთა იხილეს რაღაც აღამიანის მსგავსი, რომლისთვისაც არ შეიძლებოდა აღამიანი ეწოდებინათ. ბრძა და უგრძნობელი იყო, შემზარავი მატლივით ცოცავდა მიწაზე. მიცოცავდა მტკიცება, თუმცა უღლონდ და საათში ოც ნაბიჯს გაღიოდა.

სამი კვირის შემდეგ იგი გემის კაიზტაში იწვა და ტრილით ყვებოდა თავის თავგა-დასავალს.

თარგმნა ინგლისურიდან

8. ჰელიძემ



გოლიათი რიცხვები

ჩვეულებრივ ხმარებაში შემდეგი დიდი რიცხვებია: ათასი — 1000, მილიონი — 1000,000, და მილიარდი, ე. ი. ათასი მილიონი — 1000,000,000. მაგრამ გარდა ამ დიდი რიცხვებისა ზოგჯერ საჭიროა კიდევ უფრო დიდი რიცხვების ცოდნა, ხმარება, მათი დაწერა.

ჩვენ ზოგჯერ გავიგონებთ ხოლმე — ტრილიონი, სექსტრილიონი. ვიცით, ორმ ეს ტრილინგბი რაღაც უზარმაზარ რიცხვებს აღნიშნავენ, მაგრამ თუ რომელია მათ შორის მეტი ან ნაკლები, ანდა სახელდობრ რამდენდად დიდ რიცხვს გამოსახავს ესა თუ ის სახელწოდება, ხშირად არ ვიცით. ამიტომ და ვასახელოთ რამდენიმე ასეთი დიდი რიცხვი

1. ბილიონი — ტრანგულად billion, ნაწილი: მოებია ლათინური his-დან, რაც ნიშნავს „განმეორებით“, „ორჯერ“, ამიტომ ბილიონი აღნიშნავს განმეორებით, ორჯერ თავისთავზე გადამრავლებულ მილიონს, ე. ი. მილიონჯერ მილიონს — 1000000.000000 ან მილიონს კვადრატში ამაღლებულს — 1000000², ან 1 ორ-მეტი ნულით.

2. ტრილიონი — ტრანგულად trillion, საშუალო საუკუნეების ლათინურით trillio, სამჯერ თავის თავზე გადამრავლებული მილიონია, ან მილიონჯერ ბილიონი, ან მილიონი კუბში — 1000000³, ან 1 ორამეტი ნულით.

3. კვადრილიონი — ტრანგულად quadrillion, ოთხჯერ თავის თავზე გადამრავლებული მილიონია, ან მილიონი მეოთხე ხარისხში — 1000000⁴, ან 1 ოცდაოთხი ნულით.

ეს უკანასკნელი ისეთი უზარმაზარი რიცხვია, რომ ამაზე უფრო დიდი რიცხვის ხმარება მეცნიერული საკითხების გამოკვლევისათვისაც კი არ არის საჭირო. ზიღული სამყაროს კველა საგნის დასათვლელად საესპენით საქმიანისა რიცხვები 1-დან კვადრილიონამდე. ოკეანეში თვით წვეთების დათვლაც რომ მოვისურვოთ, მაშინაც არ დაგვჭირდება კვადრილიონების დასახელებას გავსცილდეთ.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბილიონი, ტრილიონი, კვადრილიონი გოლიათი რიცხვებია; ამაზე უფრო დიდი რიცხვები უკვე ზეგოლიათი რიცხვებია; ამაზე უფრო დიდი რიცხვები იქნება.

დავაასხელოთ ისინიც:

კვინკვილიონი — 1000000⁵, სექსტრილიონი — 1000000⁶, სეპტრილიონი — 1000000⁷, ოქტრილიონი — 1000000⁸, ნონალიონი — 1000000⁹, დეკალიონი — 1000000¹⁰, ენდეკალიონი — 1000000¹¹, დოდეკალიონი — 1000000¹².

ეს დასახელებები ნაწარმოებია მილიონის ხარისხის მაჩვენებელი რიცხვის ლათინური სახელწოდებიდან. მაგალითად, ლათინურად quintus ხუთს — მეხუთეს ნიშნავს, აქედან მილიონს მეხუთე ხარისხში (1000000⁵) ეწყდება კვინკვილიონი ანუ კვინტილიონი. ამის მიხედვით დანარჩენი ზემოქმედობილი სახელწოდებანი ნიშნავს; მილიონი — მეექსე, მეშვიდე, მერვე, მეათე, მეორობეტე და მეთორმეტე ხარისხშით.

მეტი დასახელება აღარ არსებობს, და არც არის საჭირო, რადგან დასახელებული რიცხვებიც ისეთი უზარმაზარია, რომ მათი წარმოდგენაც კი მეტად ძნელია ადამიანისათვის.

პასუხი უურნ. „პიონერში“ მოთავსებულ

გასართობ ამოცანაზე

(№ 1—1945 წ.)

საღ არის შეცდომა?


ბესომ დაუშვა შეცდომა უკანასკნელ მოქმედებაში მან ტალიონის ორივე მხარე გაჰყო (1—1)-ზე, ესე იგი ნულზე, ამით მინ დარღვევა მათემატიკური წესი, რომლითაც აკრძალულია ნულზე გამოიჭა.

რატომაც აკრძალული ნულზე გაართვა? აკრძალულია იმიტომ, რომ ასეთი გაყიდვა აბსურდულ (უახოო) შედეგს იძლევა. რატომ იძლევა აბსურდულ შედეგს? აი რატომ: ერთი რიცხვი აავარებს, ეს ხომ იმას ნიშანავს, რომ პირველი რიცხვიდან (გასაყიდადა), როგორიც შეიტყოფს (გაშროებს) მარავლად, გამოვრიცხთ ეს მარავლი. შაგალითად, 6:2. ეს არის (3×2):2. ეს იგი ეს ნიშანას ექვსიდან გამოვრიცხოთ მამარავლი 2 ამ გამორიცხვით მიეღილებთ 3, განსაზღვრულ გამოიყოფს.

მაგრამ ავილოთ ახლა ასეთი მაგალითი: 8 : 0. ეს არის (8×0) : 0. ეს იგი ეს ნიშანას რეადან გამოვრიცხთ ხოთ მამარავლი ნულით თითქოს, პირველი მაგალითის მიხედვით, უბრავ შეიცილოთ განსაზღვრული განვყოფი 8. მაგრამ ამ გამორიცხვით განა მიეღილებთ რეასა არავითარ ბემთხვევაში.

ეს იმიტომ, რომ ამაშინ, როდესაც ნამრავლში 3×2 სამის (ან ორი) ნუკვლად არ შეიძლება სწავ ნებისმიერი რიცხვი ჩასვათ რა ისე, რომ იამრავლია არ შეიცილოს. სულ სხვა მდგომარეობაა ნამრავლში 8×0. აյრის ნაცდლად შეგვიძლია ხებისმიერი რიცხვი ჩასვათ და ნამრავლი მაიც ყოველზევის ნული იქნება, ვინაურ ყოველგვარი რიცხვი ნულზე გამრავლებული ნულს იძლევა. მაშასადამე, რიცხვსაც რიცხვს ნულზე ვყოფთ (მამრავლ ნულის გამორიცხვის ვახდები), ჩერ ვერავთარ შემთხვევაში ვერ ვიტავით განაკორედ რა დაზგრჩება, ვერ მიეღილებთ განსაზღვრულ განაყოფს.


ამიტომ არის აკრძალული ნულზე გაყიდვა, და თუ მაიც გავიყოფა, მიეცილებთ ასურდს, როგორც, მაგალითად, 2=5.



1.
ცყო ორი მეგობარი, — ზაირა და სიზარმაცე.
ვანთადზე გაჩნდებოდა სიზარმაცე მყის პარუალზე
და სარკმლიდნ მაცდურივით ჩურჩულებდა გოგოს
ყურთან;
— ჯერ აღრეა!.. და რა ექნა ზაირასაც ძილი
სკორდა...



2.
საღმოწევაში გაკვეთილის დასასწავლიად
დაჯდებოდა —
აბეზარი სიზარმაცეც კალმისუერთან გაჩნდებოდა:
— ლექსი ზუის ფუტკარიცით, და სამელნეც
ჩაშრობდა!..
ეს, მოგცლია!.. წავიდეთო — კინოთეატრს რა
სჯობია!..



3.
როს მოფრინდა ახალი წლის თეთრი დილა ახალ
ეშით,
გაეშურნენ მეგობრები პიონერთა სასახლეში.
... აცნობიმებს თვალს ზაირა, სიზარმაცე
თვალებს ნაბატებს..
მაგრამ უცებ საიდანდაც კართან დახვდათ თოვლის
ვაპა.



4.
გაატარა მან ზაირა და მეგობრის მისამართზე
უთხრა გოგოს: — ჩამოგცილდეს, არ გავუშებ
სიზარმაცეს!
დარბაზში კი ნაძვის ხენი ცჰ, რა ტკბილად
ყვირის, ანჩხლობს სიზარმაცე და მიიწევს
ზაირასკენ...

(დასასწული ამ ამბავისა შემდეგ გვერდზე)



5.
და განტისხდა თოვლის პაპა: — ეს რა წერამ
ეგაბირა, აგაბირა
შეუბერა სიზარმაცეს, შეუბერა და—გაჟინა...
ესეც შენო—დაბრალე შენს თავს რაც დღეს
მოგიიღდა...
რა ეჩერები სხვის საქმეში მეცამეტე გოჭივითა.

6.
...აფარფატდნენ სიხარულით ნაძვის ხესთან
გოგონები.
ასე გაქერა სიზარმაცე ახალ წლიდან მოყოლებით.
...ასე გაქერა სიზარმაცე—საქმეს სხვა რ ეღობება;
სიცოცხლე და სიხარული ჰყავს ზაირას
მეგობრებად.
მ. ლ—ბ.

შინაგანი

კარლო კალაძე—ახალწლის ღამით ნაძვის	
ხესთან (ლექსი)	გარევანის მე-2 გვ.
საახალწლო მილოცვები პონერებსა და	
მოსწევლებს	1 "
გორგო კაჭახიძე—ახალი წელი (ლექსი)	2 "
ა. კონინოვი—ნაძვის ხე სოკოლნიკში	
(მოთხრობა)	
იოსებ გრიშვილი—ნაძვის ხეო! (ლექსი)	3 "
თამარ შავერჯაშვილი—ნაძვის ხეო! (მუსიკა)	6 "
დავით შამთავა—ახალწლის ღმერს (მოთხრობა)	6 "
ალეკო ზენგელია—მამა ბმას აძლევს ბერიას	7 "
(ლექსი)	
მურმან ლებანიძე—ნანი და ორჩენები (ლექსი)	9 "
ვართან გორგანელი—და-მა (საბავშვო პოემა)	10 "
გორგო თავშეიშვილი—კონსტანტინე უშიმშე	
(წერილი)	13 "
გარევანშე შხატვარ ს. ნადარეიშვილის ნახატი—„საახალწლო ნაძვის ხე“	


კ. უშიმშე—ჩერენი სამშობლო	17 "
კ. უშიმშე—ქათამი და ინვის ჭუჭულები	
(საბავშვო მოთხრობა)	17 *
ლ. ხომერიძი—მაგზოლეუმი (ნარკვევი)	18 "
გრ. ზარდალიშვილი—ლენინგრადი (საბჭოთა	
კავშირის გმირი ქალაქები)	20 "
შ. გვინჩიძე—ჯევ ლონდონი (მოქლე ბიოგრა-	
ფიული ნარკვევი)	24 "
ჯვე ლონდონი—სიცოცხლის სიყვარული	
(მოთხრობა)	26 "
ნორჩი მათემატიკოსის კუთხე (გოლიათი	
ჩიტჩევები, სად არის შეცდომა)	30 "
ზაირა და სიზარმაცე—(იგავი ლექსიად)	31 "
გასართობი (ჩაინკორდი, ზარალა, ჩებუსი)	
გარევანის მე-3 გვ.	

სარედაქციო ქოლეგია: ა. აბაშიძე, ა. კალაძე, ნ. ბერძენიშვილი, თ. გელიაშვილი
(3/მგ, რედაქტორი), შ. გვინჩიძე, ვ. ვარდალიშვილი, პროფ. გ. თავშიშვილი,
ხ. კეცხოველი, ვ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

უ—01136 ტირაჟი 7000. გამომც. № 21 სტამბის შეკვ. № 307
ლ. ბერძას სახელობის პრომინისტრი ლენინის ქ. № 28.
ეურნალის გარეკანი დაგენერილია საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის ლითოგრაფიაში

გასართობი



ჩინებობი „ნაქვის ხი“

1. ქალაქი საქართველოში, 2. ძველ რომა-
ელთა ღმერთი, 3. ყვავილი, 4. მამაკაცის
სახელი, 5. ახალი წელიწადი გურიაში,
6. მატერიკი, 7. ნიშანი, 8. უდედმამო,

9. თვე, 10. მამაკაცის სახელი, 11. წლის
ლრო, 12. შინაური ცხოველი ცენტრალურ
აზიაში, 13. საქართველოს ერთეულთი კუთ-
ხე, 14. თოვლზე სასრაალო, 15. საქართვე-
ლოს ერთეულთი კუთხე, 16. სასმელი, 17.
სურნელოვანი მცენარე, 18. სახელმწიფო
ევროპაში, 19. ძველი საბერძნეთის მეცნი-
ერი, 20. სპორტული საზოგადოება, 21. რი-
ცხვი, 22. საბყრობილე, 23. მწვერვალი
ირანში.

შენიშვნა: ციფრთან დასმული სასერი ნიშანი
„მძიმე“ გვიჩვენებს, რომ მის წინ მოთავსებულ
სიტყვას აკლდება უკანასკნელი ასო.

ზარალა

ერთი რამ არის ისეთი,
იქტება და იღება.
დაწერეთ მისი სახელი —
შარადა ამით იწყება.
მოსწყვიტეთ პირველი ასო.
რაც ამის შემდეგ დარჩება,
კითხვითი ნაცვალსახელი
იმას თუ დაემატება,
(უსულო საგნებისათვის
„ვინ“ — სა რომ შეენაცვლება),
და ბოლოს ნადირს მაბამთ,
(ძნელი არ არის მიგნება —
ქათმის და ბატის მტერია,
სადმე სოროში იქნება),
ისეთსა რამეს მიიღებთ,
რომ კითხვა არ მოგწყინდებათ,
რითაც ჩვენი „პიონერი“
მყითხველებს უმასპინძლდება.

შეადგინა პ. ჭარიშვილმა

რებაცი



ფასი 5 გან.

